

**ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა
2013/32/EU**

**საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ზოგადი პროცედურების შესახებ
(შესწორებული)**

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, განსაკუთრებით, მისი 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს,

ითვალისწინებენ რა, კომისიის წინადადებას,

ითვალისწინებენ რა, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას [\(1\)](#),

მოქმედებენ რა, რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ,

მოქმედებენ რა, სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად [\(2\)](#),

ვინაიდან:

- 1) ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების პროცედურების მინიმალური სტანდარტის შესახებ [\(3\)](#) საბჭოს 2005 წლის 1 დეკემბრის 2005/85/EC დირექტივაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებაა განსახორციელებელი. სიცხადისთვის, აუცილებელია ამ დირექტივის შესწორება.
- 2) თავშესაფრის მინიჭების ერთიანი პოლიტიკა, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩათვლით, ევროპის კავშირის მიზნის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უკავშირდება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის შექმნას მათთვის, ვინც, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, ევროკავშირში დაცვას კანონიერად ითხოვს. ეს პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს წევრ სახელმწიფოთა შორის სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის თანაბარი განაწილების პრინციპებს, მათ შორის, ფინანსურ საკითხებშიც.
- 3) 1999 წლის 15-16 ოქტომბერს, ტამპერეში გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე, ევროკავშირის საბჭო შეთანხმდა თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის შექმნის თაობაზე მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც დაეფუძნა „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციასა

(„ჟენევის კონვენცია“) და ჟენევის კონვენციის ნიუ იორკის 1967 წლის 31 იანვრის ოქმს, რითაც ადასტურებს გაძევების დაუშვებლობის პრინციპს და უზრუნველყოფს, რომ არავინ იქნას დაბრუნებული იქ, სადაც დევნა ემუქრება.

- 4) ტამპერეს დასკვნების თანახმად, მოკლევადიან პერსპექტივაში, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის მინიჭების სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურების ერთიან სტანდარტებს უნდა მოცავდეს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - ისეთი წესებს, რომლებიც ევროკავშირში თავშესაფრის მინიჭების ერთიანი პროცედურების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.
- 5) თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მოხდა სათანადო სამართლებრივი ზომების მიღება, რომლებიც მოცემულია შესაბამის ხელშეკრულებებში. მათ შორისაა 2005/85/EC დირექტივა, რომელიც თავშესაფრის მინიჭების პროცედურების პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა.
- 6) 2004 წლის 4 ნოემბრის შეხვედრაზე ევროკავშირის საბჭომ „ჰააგის პროგრამა“ მიიღო, რომელიც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სფეროებში 2005-10 წლებში მისაღწევ მიზნებს ასახავს. ამ კუთხით „ჰააგის პროგრამა“ ევროკომისიისგან მოითხოვს პირველი ფაზის სამართლებრივი დოკუმენტების შეფასების დასრულებასა და მეორე ფაზის დოკუმენტებისა და ზომების წარდგენას ევროპარლამენტისა და საბჭოს წინაშე. „ჰააგის პროგრამის“ შესაბამისად, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის შემუშავების მიზანი კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი თავშესაფრის მინიჭების ერთიანი პროცედურებისა და ერთიანი სტატუსის ჩამოყალიბებაა.
- 7) 2008 წლის 16 ივნისს მიღებულ იქნა ევროპული პაქტი „იმიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ“, რომელშიც ევროპის კავშირის საბჭომ აღნიშნა, რომ დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა არსებობს და მოითხოვა ახალი ინიციატივები, მათ შორის, ზოგადი გარანტიების შემცველი პროცედურის შემუშავება, რაც „ჰააგის პროგრამით“ გათვალისწინებული თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.
- 8) 2009 წლის 10-11 დეკემბრის შეხვედრაზე ევროკავშირის საბჭომ მიიღო „სტოკჰოლმის პროგრამა“, რომელიც 2012 წლისათვის დაცვისა და სოლიდარობის ერთიანი სივრცის შექმნის იმ ვალდებულებას იმეორებს, რომელიც თავშესაფრის მინიჭების ერთიან პროცედურებასა და ერთიან სტატუსს ეფუძნება და განკუთვნილია მათთვის, ვისაც საერთაშორისო დაცვა მაღალი სტანდარტებითა

და სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურებით ენიჭებათ. „სტოკჰოლმის პროგრამა“ ადასტურებს, რომ საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირები სამართლებრივად უსაფრთხო და ეფექტიანი თავშესაფრის მინიჭების პროცედურებით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი. „სტოკჰოლმის პროგრამის“ შესაბამისად, სხვადასხვა პროცედურებისა და სტატუსის განსაზღვრის პროცესში, პირების მიმართ მოპყრობა ერთგვაროვანი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ წევრ სახელმწიფოშია დარეგისტრირებული მათი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე. აღნიშნული წესის მიზანია, რომ მსგავსი საქმეები ერთნაირად განიხილოს და ერთნაირი შედეგით დასრულდეს.

- 9) ევროპის ლტოლვილთა ფონდი და ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი უნდა მობილიზდნენ, რათა წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით, იმ წევრ სახელმწიფოებს, რომელთა თავშესაფრის სისტემები, კონკრეტული გეოგრაფიული ან გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ან არაპროპორციულად მძიმე ზეწოლას განიცდის, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის მეორე ეტაპზე გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის მხრივ გაწეულ ძალისხმევაში დახმარება აღმოუჩინონ.
- 10) წინამდებარე დირექტივის განხორციელებისას, წევრმა სახელმწიფოებმა ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ.
- 11) მესამე ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსის და დამატებითი დაცვის განსაზღვრისას ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და დაცვის არსის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/95/EU დირექტივის [\(4\)](#) კონტექსტში განმცხადებლების საერთაშორისო დაცვის საჭიროებების სრულფასოვანი და ეფექტიანი შეფასებისათვის, ევროკავშირის ჩარჩო პროცედურები საერთაშორისო დაცვის მინიჭებასა და გაუქმებასთან დაკავშირებით ერთი პროცედურის კონცეფციას უნდა ეფუძნებოდეს.
- 12) წინამდებარე ამ დირექტივის მთავარი ამოცანა ევროკავშირში თავშესაფრის ერთიანი პროცედურის შემოღების მიზნით წევრ სახელმწიფოებში საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების პროცედურების სტანდარტების გაუმჯობესებაა.
- 13) საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების პროცედურების დაახლოვებამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დაცვის განმცხადებლების გადაადგილების შეზღუდვას წევრ სახელმწიფოთა შორის, როდესაც ასეთი გადაადგილება შეიძლება მათ სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებამ გამოიწვიოს და

თანაბარი პირობების შექმნას წევრ სახელმწიფოებში 2011/95/EU დირექტივის გამოყენებისთვის.

- 14) წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზების შესაძლებლობა მესამე ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც საერთაშორისო დაცვას ისეთი წევრი სახელმწიფოსგან ითხოვენ, რომელშიც ასეთი მოთხოვნა 2011/95/EU დირექტივის შინაარსის შესაბამისად არის მიჩნეული.
- 15) წინამდებარე დირექტივის ფარგლებში მოქცეულ პირთა მიმართ მოპყრობის კუთხით, წევრ სახელმწიფოებს იმ საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები აქვთ, რომელთა მხარესაც ისინი წარმოადგენენ.
- 16) მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დაცვის შესახებ მიღებული ყველა განაცხადი ფაქტების საფუძველზე იქნეს განხილული და, უპირველეს ყოვლისა, იმ უწყების მიერ, რომლის პერსონალს აქვს სათანადო ცოდნა ან საერთაშორისო დაცვის სფეროში შესაბამისი სასწავლო კურსები აქვს გავლილი.
- 17) საერთაშორისო დაცვაზე ყველა განაცხადის ობიექტურად და მიუკერძოებლად შესწავლისა და გადაწყვეტილების სათანადოდ მიღების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ წინამდებარე დირექტივის ფარგლებში განსაზღვრულ პროცედურებში ჩართულმა პროფესიონალებმა თავიანთი საქმიანობა ეთიკის შესაბამისი პრინციპების სათანადო დაცვით წარმართონ.
- 18) საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მაქსიმალურად სწრაფად, მიუკერძოებლად და სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე მიღებით დაინტერესებულნი არიან როგორც წევრი სახელმწიფოები, ისე - თვით განმცხადებლები.
- 19) კონკრეტულ შემთხვევებში, პროცედურების მთლიანი ხანგრძლივობის შესამცირებლად, წევრმა სახელმწიფოებმა მოქნილობა უნდა გამოავლინონ, რათა, თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად, რომელიმე განაცხადი სხვებზე ადრე განიხილონ. თუმცა, ეს ნორმალური პროცედურული დროითი ჩარჩოს, პრინციპებისა და გარანტიების დარღვევის გარეშე უნდა მოხდეს.
- 20) მკაფიოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელია ან ეროვნულ უსაფრთხოებასთან ან საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთების საფუძველი არსებობს, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ განაცხადის შესწავლის პროცედურის დაჩქარების შესაძლებლობა კონკრეტული პროცედურებისთვის ხანმოკლე და, ამასთანავე,

გონივრული დროითი შეზღუდვების დაწესებით. თუმცა, ამან განაცხადის სათანადო და სრულყოფილი შესწავლის პროცესი, ისევე, როგორც განმცხადებლისთვის ამ დირექტივით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებსა და გარანტიებზე ქმედითი ხელმისაწვდომობა არ უნდა დააზარალოს.

- 21) როდესაც განმცხადებელს კარგად დასაბუთებული მიზეზი აქვს, ქვეყანაში შესვლისას საბუთების არარსებობას ან გაყალბებული საბუთების გამოყენებას თავისთავად არ უნდა მოჰყვეს ავტომატური მიმართვა საზღვარზე ან დაჩქარებული პროცედურები.
- 22) როგორც წევრი სახელმწიფოების, ასევე თავად განმცხადებლების ინტერესშია, ასევე, პირველივე ინსტანციაში საერთაშორისო დაცვის საჭიროების სწორი აღიარება. ამ მიზნით, განმცხადებლებს, მათი სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებზე ინფორმაცია პირველივე ინსტანციაში, უფასოდ უნდა მიეწოდოთ. ასეთი ინფორმაციით უზრუნველყოფა განმცხადებელს პროცედურების უკეთ გაგების საშუალებას აძლევს და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებაშიც ეხმარება. წევრი სახელმწიფოებისგან ასეთი ინფორმაციის მხოლოდ კვალიფიცირებული იურიდიული სამსახურების გზით მიწოდების მოთხოვნა არათანაზომიერი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ინფორმაცია ყველაზე მოხერხებული გზებით, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების, კვალიფიცირებული სახელმწიფო მოხელეების ან სპეციალიზირებული სახელმწიფო სამსახურების მეშვეობით გადასცენ.
- 23) გასაჩივრების პროცედურები სპეციალურ გარემოებებს ექვემდებარება. ამ დროს განმცხადებლები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ უფასო სამართლებრივი დახმარებითა და წარმომადგენლობით, რომელსაც ადგილობრივ კანონმდებლობაში კომპეტენტური პირები ახორციელებენ. ამას გარდა, პროცესის მსვლელობის ყველა ეტაპზე, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უფლება, ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში, სამართლებრივი მრჩევლებისა და ადვოკატების კონსულტაცია საკუთარი ხარჯით მიიღოს.
- 24) საზოგადოებრივი წესრიგის ცნება ასევე მოიცავს სერიოზული სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენას.
- 25) ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის კონტექსტში ლტოლვილად ან დამატებითი დაცვის საჭიროების მქონე პირად სწორად აღიარებისთვის, თითოეულ განმცხადებელს პროცედურებზე ქმედითი ხელმისაწვდომობა და კომპეტენტურ სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობისა და სათანადო კომუნიკაციის

შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რათა ყველა ეტაპზე შეძლოს საკუთარ საქმეზე აქტუალური ფაქტების წარდგენა და ჰქონდეს საკმარისი პროცედურული გარანტიები. ამასთანავე, საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლის ნორმალური პროცედურის დროს, განმცხადებელი, სულ მცირე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს: დარჩენის უფლებით შესაბამისი უწყების მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე; თარჯიმნის მომსახურებით, ხელისუფლების ორგანოების მიერ გასაუბრების ჩატარების დროს საკუთარი საქმის წარდგენის მიზნით; კომუნიკაციის შესაძლებლობით გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებს კონსულტაციას გაუწევენ; გადაწყვეტილების სათანადო შეტყობინებით, ასევე ამ გადაწყვეტილების მიზეზების ფაქტობრივი და სამართლებრივი სახით ჩამოყალიბებით; სამართლებრივ მრჩეველსა და სხვა პროფესიონალთან მიმართვის შესაძლებლობით; უფლებით, რომ პროცედურის გადამწყვეტ მომენტებში ინფორმირებული იყოს საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ იმ ენაზე, რომელიც განმცხადებელს ესმის ან არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ უნდა ესმოდეს; და, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სასამართლოში ან ტრიბუნალში მისი ეფექტური გასაჩივრების საშუალებით.

26) განხილვის პროცედურაზე ეფექტური წვდომის უზრუნველყოფისთვის, ოფიციალურმა პირებმა, რომლებსაც საერთაშორისო დაცვის მაძიებლები ხვდებიან, განსაკუთრებით იმ მოხელეებმა, რომლებიც სახმელეთო და საზღვაო საზღვრის ზედამხედველობას ან საზღვარზე შემოწმებას ახორციელებენ, უნდა მიიღონ სათანადო ინფორმაცია და აუცილებელი სწავლება საერთაშორისო დაცვის განაცხადების აღიარებისა და შესაბამისი ქმედებების შესახებ, მათ შორის, ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხითაც. მათ უნდა შეძლონ, მესამე ქვეყნების მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადს აკეთებენ და წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე იმყოფებიან, საზღვრის, ტერიტორიული წყლების ან სატრანზიტო ზონების ჩათვლით, სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ იმის შესახებ, თუ სად და როგორ შეიძლება საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთება. თუ ეს ადამიანები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში იმყოფებიან, უნდა მოხდეს მათი გადაყვანა ხმელეთზე და მათი განაცხადების განხილვა ამ დირექტივის შესაბამისად.

27) ვინაიდან მესამე ქვეყნების მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები,

რომლებმაც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების სურვილი გამოთქვეს, საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებს წარმოადგენენ, ისინი უნდა დაემორჩილონ იმ მოთხოვნებს და მიიღონ ის უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია ამ დირექტივითა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2013/33/EU დირექტივით, რომლებიც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების მიღების სტანდარტებს ადგენს [\(7\)](#). ამისთვის წევრმა სახელმწიფოებმა ეს ადამიანები საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებად რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაარეგისტრირონ.

- 28) საზღვრის გადაკვეთის პუნქტებსა და დაკავების დაწესებულებებში შემოწმების პროცედურების ხელშესაწყობად საჭიროა, საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს. ძირითადი კომუნიკაცია, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ კომპეტენტურმა უწყებებმა გაიგონ, რომ ადამიანებს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთება სურთ, თარჯიმნის საშუალებით უნდა განხორციელდეს.
- 29) ზოგიერთი განმცხადებლისთვის შეიძლება საჭირო იყოს სპეციალური პროცედურული გარანტიები, მათ შორის, მათი ასაკის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შეზღუდული შესაძლებლობების, მძიმე ავადმყოფობის, ფსიქიკური აშლილობის ან წამების, გაუპატიურებისა და ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის სხვა მძიმე ფორმებიდან გამომდინარე შედეგის გამო. წევრმა სახელმწიფოებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა სპეციალური პროცედურული გარანტიების საჭიროების მქონე განმცხადებლები პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მიღებამდე გამოავლინონ. ასეთი განმცხადებლები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სათანადო მხარდაჭერით, მათ შორის, საკმარისი დროით, რათა პროცედურებზე ქმედითი წვდომის პირობები შეექმნათ და საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების დასასაბუთებლად საჭირო არგუმენტების წარმოადგენა მოახერხონ.
- 30) როდესაც სპეციალური პროცედურული საჭიროებების მქონე განმცხადებლისთვის სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენა დაჩქარებული ან სასაზღვრო პროცედურების ფორმატში ვერ ხერხდება, ის ამ პროცედურებს არ უნდა დაექვემდებაროს. ისეთი სახის სპეციალური პროცედურული საჭიროებები, რომლებიც დაჩქარებულ და სასაზღვრო პროცედურებს არ ექვემდებარება, ასევე უნდა გულისხმობდეს განმცხადებლის უზრუნველყოფას დამატებითი გარანტიებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მის განაცხადს ავტომატური დამაყოვნებელი ძალა არ აქვს, რათა მას გასაჩივრების ქმედითი შესაძლებლობა არ

წაერთვას.

- 31) სახელმწიფოს მიერ დადგენილი ზომები წამებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის სიმპტომებისა და ნიშნების დადგენისა და დოკუმენტირების შესახებ, ამ დირექტივის პროცედურებში, მათ შორის, ეფუძნება „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელოს“ (სტამბოლის ოქმი).
- 32) ქალ და მამაკაც განმცხადებლებს შორის არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად, შემოწმების პროცედურები გენდერულად მგრძობიარე უნდა იყოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გენდერზე დაფუძნებული დევნის შემთხვევებში, პირადი გასაუბრებები ისე იყოს ორგანიზებული, რომ მამაკაც და ქალ განმცხადებელს წარსულ გამოცდილებაზე საუბარი თავისუფლად შეეძლოს. პროცედურებში გენდერთან დაკავშირებული განაცხადების სირთულე სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული და უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფციას, უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის კონცეფციასა და შემდგომი განაცხადის ცნებას ეფუძნებოდეს.
- 33) ბავშვის საუკეთესო ინტერესი ამ დირექტივის გამოყენებისას წევრი სახელმწიფოებისთვის უმთავრესი განსჯის საგანი უნდა იყოს, „ფუნდამენტური უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტიისა“ („ქარტია“) და ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის შესაბამისად. ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას, წევრმა სახელმწიფოებმა განსკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მცირეწლოვანის კეთილდღეობასა და სოციალურ განვითარებას, მისი წარსულის ჩათვლით.
- 34) საერთაშორისო დაცვის საჭიროების განხილვის პროცედურები კომპეტენტურ უწყებებს განაცხადების საგულდაგულო გამოკვლევის საშუალებას უნდა აძლევდეს.
- 35) როდესაც განაცხადის შესწავლის პროცესში განმცხადებლის ჩხრეკა ხორციელდება, ეს იმავე სქესის პირმა უნდა ჩაატაროს. უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამან ზიანი არ უნდა მიაყენოს პროცესს და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.
- 36) როდესაც განმცხადებელი ხელახალ განაცხადს ახალი მტკიცებულების ან არგუმენტის წარდგენის გარეშე აკეთებს, წევრი სახელმწიფოებისთვის განხილვის სრული პროცედურის განხორციელების მოთხოვნა არაგონივრული იქნება. ასეთ

შემთხვევებში, გადაწყვეტილი საქმის განმეორებითი განხილვის დაუშვებლობის პრინციპის საფუძველზე, წევრ სახელმწიფოებს განაცხადზე უარის თქმის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

- 37) როდესაც განაცხადის არსებით ნაწილზე დროულ გასაუბრებას ატარებს ისეთი უწყების თანამშრომელი, რომელიც განმსაზღვრელი ორგანო არ არის, ცნება „დროული“ უნდა შეფასდეს 31-ე მუხლში მითითებულ ვადებთან მიმართებით.
- 38) საერთაშორისო დაცვის შესახებ ბევრი განაცხადი წევრი სახელმწიფოს საზღვარზე ან სატრანზიტო ზონაში, განმცხადებლის შემვებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე კეთდება. წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ, უზრუნველყონ განაცხადის დაშვების და/ან განხილვის არსებითი პროცედურების განხორციელება, რომელთა საშუალებით, მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოებებში, გადაწყვეტილების ადგილზე მიღება იქნება შესაძლებელი.
- 39) განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში გაურკვეველი სიტუაციის არსებობის დადგენის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოპოვონ ზუსტი და უახლესი ინფორმაცია ისეთი აქტუალური წყაროებიდან, როგორცაა ევროპის თავმესაფრის მხარდაჭერის ოფისი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ევროპის საბჭო და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროცედურის ნებისმიერი გადავადება 2011/95/EU დირექტივისა და ქარტიის 41-ე მუხლის შესაბამისად, ამ დირექტივით განსაზღვრული პროცედურების ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრინციპის დარღვევის გარეშე მოხდეს.
- 40) საერთაშორისო დაცვის განაცხადის დასაბუთებულობის შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოშობის ქვეყანაში განმცხადებლის უსაფრთხოების საკითხი წარმოადგენს. თუ მესამე ქვეყნის უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად მიჩნევა შესაძლებელია, წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ, მიიჩნიონ იგი უსაფრთხოდ და ივარაუდონ მისი უსაფრთხოება კონკრეტულ განმცხადებელთან მიმართებით, თუ განმცხადებელი საპირისპირო არგუმენტებს არ წარმოადგენს.
- 41) საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად მესამე ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების კვალიფიცირების საკითხში არსებული ჰარმონიზაციის დონიდან გამომდინარე, მესამე ქვეყნების უსაფრთხო ქვეყნებად დასახელების კუთხით ერთიანი კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს.
- 42) ამ დირექტივის კონტექსტში მესამე ქვეყნის დასახელება უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად ამ ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოების აბსოლუტურ გარანტიას არ

უზრუნველყოფს. მისი ბუნებიდან გამომდინარე, დასახელების საფუძვლის შეფასებისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ ამ ქვეყანაში არსებული ზოგადი სამოქალაქო, სამართლებრივი და პოლიტიკური გარემოებები, ასევე ისიც, თუ რამდენად ექვემდებარებიან წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყობისა და დასჯის ჩამდენი პირები პასუხისმგებლობას დანაშაულის დადგენის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, თუ განმცხადებელმა დაასაბუთა, რომ არსებობს დამაჯერებელი მიზეზი ვარაუდისთვის, რომ მოცემული ქვეყანა, განმცხადებლის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე, უსაფრთხოდ ვერ იქნება მიჩნეული, მის მიმართ ქვეყნის უსაფრთხოდ განსაზღვრა ვეღარ მოხდება.

- 43) წევრმა სახელმწიფოებმა ყველა განაცხადის შინაარსი უნდა განიხილონ, ანუ განსაზღვრონ, რამდენად აკმაყოფილებს კონკრეტული განმცხადებელი საერთაშორისო დაცვის მისანიჭებლად საჭირო მოთხოვნებს 2011/95/EU დირექტივის კონტექსტში, იმ შემთხვევების გარდა, როცა დირექტივა სხვას ითვალისწინებს, კერძოდ, როცა არსებობს საფუძველი გონივრული ვარაუდისთვის, რომ ეს სხვა ქვეყანა თავად განიხილავს ან უზრუნველყოფს სათანადო დაცვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წევრ სახელმწიფოებს არ ჰქონდეთ საერთაშორისო დაცვის განაცხადის შინაარსობრივი განხილვის ვალდებულება, თუ განმცხადებელს თავშესაფრის პირველმა ქვეყანამ ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა ან სხვა სახის საკმარისი დაცვით უზრუნველყო და ის ამ ქვეყანაში რეადმისიას ექვემდებარება.
- 44) წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო დაცვის განაცხადის შინაარსობრივი განხილვის ვალდებულება არ უნდა ჰქონდეთ, თუ განმცხადებელს, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მესამე ქვეყანასთან საკმარისი კავშირი აქვს, არსებობს მოლოდინი, რომ მან დაცვა ამ ქვეყანაში ეძებოს და ასევე საფუძველი მოლოდინისთვის, რომ განმცხადებელი დაიშვება ამ ქვეყანაში ან მოხდება მისი რეადმისია. წევრ სახელმწიფოებს ამის ვალდებულება მაშინ აქვთ, როდესაც უნდა განისაზღვროს, იქნება თუ არა კონკრეტული განმცხადებელი მესამე ქვეყანაში უსაფრთხოდ. განმცხადებლის მეორადი გადაადგილების თავიდან აცილების მიზნით, წევრი სახელმწიფოების მიერ მესამე ქვეყნების უსაფრთხოდ მიჩნევის ან აღიარების ერთიანი პრინციპები უნდა შემუშავდეს.
- 45) გარდა ამისა, იმ ევროპულ მესამე ქვეყნებთან მიმართებით, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და ლტოლვილთა დაცვის სტანდარტებს განსაკუთრებით მაღალ დონეზე იცავენ, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ იმის უფლება, რომ მსგავსი

ქვეყნებიდან შემოსული პირების მიერ საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განაცხადი არ შეისწავლონ ან არასრულად შეისწავლონ.

- 46) როდესაც წევრი სახელმწიფოები უსაფრთხო ქვეყნის კონცეფციას კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებით იყენებენ ან უსაფრთხო ქვეყნების სიებს ადგენენ, მათ უნდა გაითვალისწინონ სახელმძღვანელოები, საოპერაციო ცნობარები და წარმოშობის ქვეყნებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია - მათ შორის, ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის მეთოდოლოგია წარმოშობის ქვეყანაზე ინფორმაციის დოკუმენტირების შესახებ, რომელზეც მიუთითებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 19 მაისის No 439/2010 რეგულაცია ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის შექმნის თაობაზე⁽⁶⁾ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შესაბამისი რეკომენდაციები.
- 47) უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის, უსაფრთხო მესამე ქვეყნისა და უსაფრთხო ევროპული მესამე ქვეყნის კონცეფციების ეროვნულ დონეზე გამოყენების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გაცვლის წახალისების, კომისიის მხრიდან წევრი სახელმწიფოების მიერ ამ კონცეფციების გამოყენების რეგულარული ზედამხედველობისა და მომავალში პოტენციური ჰარმონიზაციის მომზადების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას პერიოდულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმ მესამე ქვეყნების თაობაზე, რომელთა მიმართაც ეს კონცეფციები გამოიყენება. კომისიამ კი რეგულარულად უნდა მოახდინოს ევროპის პარლამენტის ინფორმირება ზედამხედველობის შედეგის თაობაზე.
- 48) უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით, უსაფრთხო ქვეყნის კონცეფციების სწორი გამოყენებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა ამ ქვეყნებში სიტუაცია რეგულარულად უნდა შეისწავლონ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის, სხვა წევრი სახელმწიფოების, ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, ევროპის საბჭოსა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. თუ წევრი სახელმწიფოებისთვის ცნობილი გახდება, რომ მათ მიერ უსაფრთხოდ მიჩნეულ ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, მათ შეძლებისდაგვარად სასწრაფოდ უნდა შეისწავლონ სიტუაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ამ ქვეყნის უსაფრთხოდ აღიარების საკითხს გადახედონ.
- 49) როდესაც ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის გაუქმება ხდება, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირები, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ, სათანადოდ იყენებენ ინფორმირებულნი

მათი სტატუსის ცვლილების თაობაზე და ჰქონდეთ ხელისუფლებისთვის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, ვიდრე შესაბამისი უწყებები სათანადო მიზეზით მათ სტატუსს გააუქმებენ.

- 50) კავშირის კანონმდებლობის საბაზისო პრინციპში აისახება დებულება, რომლის შესაბამისად, საერთაშორისო დაცვის განაცხადზე მიღებული გადაწყვეტილებები, განხილვის შეწყვეტის შემდეგ მის განახლებაზე უარის გადაწყვეტილებები და ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები სასამართლოში ან ტრიბუნალში ქმედით გასაჩივრებას ექვემდებარება.
- 51) „ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების 72-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე დირექტივა არ ეხება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას კანონიერების, მართლწესრიგისა და შიდა უსაფრთხოების დაცვის სფეროებში.
- 52) წინამდებარე დირექტივის ფარგლებში წევრი სახელმწიფოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება განისაზღვრება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივით, რომელიც პირადი მონაცემების დამუშავებისა და ამ მონაცემების თავისუფალი მოძრაობის კონტექსტში პირების დაცვას ეხება [\(7\)](#).
- 53) წინამდებარე დირექტივა არ ეხება წევრ სახელმწიფოებს შორის იმ პროცედურებს, რომლებსაც მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განაცხადის განხილვის საქმეში წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის კრიტერიუმებისა და მექანიზმების შემუშავების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის რეგულაცია (EU) No 604/2013 [\(8\)](#) განსაზღვრავს.
- 54) დამატებით, წინამდებარე დირექტივა გამოიყენება იმ განმცხადებლების მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან ევროკავშირის No 604/2013 რეგულაციას, ამ რეგულაციის დებულებების დარღვევის გარეშე.
- 55) წინამდებარე დირექტივის განხორციელება რეგულარული შუალედებით უნდა შეფასდეს.
- 56) ვინაიდან წინამდებარე დირექტივაში დასახული მიზანი, განსაკუთრებით, საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ერთიანი პროცედურების შემოღება, წევრი სახელმწიფოების დონეზე სრულფასოვნად ვერ მიიღწევა და, ამ დირექტივის მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინებით, კავშირის დონეზე

უკეთესად განხორციელდება, ამ უკანასკნელმა შეიძლება ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისი ზომები მიიღოს. ამავე მუხლშია მოცემული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, დირექტივა ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ მოთხოვნებს არ სცდება.

- 57) განმარტებითი დოკუმენტების თაობაზე წევრი სახელმწიფოებისა და კომისიის 2011 წლის 28 სექტემბრის ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაციის [\(9\)](#) თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს, რომ, დასაბუთებულ შემთხვევებში, მათ მიერ განხორციელებული ტრანსპოზიციის ზომების შეტყობინებას თან დაურთონ ერთი ან მეტი დოკუმენტი, სადაც განმარტებული იქნება ურთიერთკავშირი დირექტივის კომპონენტებსა და ტრანსპოზიციის შესახებ ეროვნული დოკუმენტების შესაბამის ნაწილებს შორის. ამ დირექტივის კონტექსტში, კანონმდებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტების გადაცემა დასაბუთებული უნდა იყოს.
- 58) თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის კონტექსტში, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ 21-ე ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლებისა და მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტის თანახმად და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების თანდართული ოქმის მე-4 მუხლის შესაბამისად, გაერთიანებული სამეფო და ირლანდია ამ დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობენ და მისი აღსრულება არ ევალებათ.
- 59) დანიის პოზიციის შესახებ 22-ე ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც ევროკავშირის შეთანხმებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების დანართს წარმოადგენს, დანია ამ დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს და მისი აღსრულება არ ევალება.
- 60) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და ქარტიით აღიარებულ პრინციპებს შეესაბამება. დირექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ღირსების სრულ პატივისცემასა და ქარტიის 1-ელი, მე-4, მე-18, მე-19, 21-ე, 23-ე, 24-ე და 47-ე მუხლების გამოყენების ხელშეწყობაზე და მისი აღსრულებაც ამ პრინციპების დაცვით უნდა მოხდეს.
- 61) დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვალდებულება შეზღუდული უნდა იყოს იმ დებულებებით, რომლებიც 2005/85/EC დირექტივასთან მიმართებით მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს. წინამდებარე დირექტივით წარმოიშობა უცვლელი დებულებების გადმოტანის ვალდებულება.

62) ამ დირექტივამ ზიანი არ უნდა მიაყენოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია 2005/85/EC დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის ვადებთან, რომელიც ეს II დანართის „ბ“ ნაწილშია მოცემული.

იღებს წინამდებარე დირექტივას:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

მიზანი

ამ დირექტივის მიზანი 2011/95/EU დირექტივის შესაბამისად საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ერთიანი პროცედურების დაწესებაა.

მუხლი 2

განმარტებები

ამ დირექტივის მიზნებისთვის:

- ა) "ჟენევის კონვენცია" ნიშნავს ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებულ 1951 წლის 28 ივლისის კონვენციას, ნიუ იორკის 1967 წლის 31 იანვრის ოქმში მოცემული ცვლილებების გათვალისწინებით;
- ბ) "საერთაშორისო დაცვის განაცხადი" ან "განაცხადი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ წევრი სახელმწიფოსთვის დაცვის მოთხოვნას. მოცემული პირი შეიძლება აღიარებული იქნას ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის მაძიებლად, თუ იგი კონკრეტულად არ მოითხოვს რაიმე სხვა სახის დაცვას, რომელიც 2011/95/EU დირექტივის ფარგლებს ცდება და შეიძლება ცალკე იქნას მინიჭებული;
- გ) "განმცხადებელი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადი აქვს შეტანილი და რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის;
- დ) "სპეციალური პროცედურული საჭიროებების მქონე განმცხადებელი" ნიშნავს

განმცხადებელს, რომლის უნარი, ისარგებლოს ამ დირექტივით გარანტირებული უფლებებით და აღასრულოს შესაბამისი მოვალეობები, ინდივიდუალური გარემოებებით არის შეზღუდული;

- ე) "საბოლოო გადაწყვეტილება" ნიშნავს გადაწყვეტილებას, რომლითაც მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ენიჭება ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი 2011/95/EU დირექტივის ფარგლებში და რომელიც ამ დირექტივის V თავის შესაბამისად გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა აღნიშნულ გასაჩივრებას შესაბამის წევრ სახელმწიფოში განმცხადებლისთვის დარჩენის ნებართვის ეფექტი;
- ვ) "გადაწყვეტილების მიმღები უწყება" ნიშნავს წევრი სახელმწიფოს ნებისმიერ კვაზი-სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის განხილვისა და პირველ ინსტანციაში ასეთ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა აქვს;
- ზ) "ლტოლვილი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც 2011/95/EU დირექტივის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- თ) "დამატებითი დაცვის საჭიროების მქონე პირი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც 2011/95/EU დირექტივის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ი) "საერთაშორისო დაცვა" ნიშნავს ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს, როგორც „კ“ და „ლ“ პუნქტებში არის მოცემული;
- კ) "ლტოლვილის სტატუსი" ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ლტოლვილად აღიარებას;
- ლ) "დამატებითი დაცვის სტატუსი" ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის აღიარებას დამატებითი დაცვის საჭიროების მქონე პირად;
- მ) "არასრულწლოვანი" აღნიშნავს 18 წლამდე ასაკის მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს;
- ნ) "თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი" ნიშნავს არასრულწლოვანს, რომელსაც არავინ ახლავს თან, როგორც ეს განსაზღვრულია 2011/95/EU დირექტივის მე-2 მუხლის 1-ელ პუნქტში;
- ო) "წარმომადგენელი" ნიშნავს კომპეტენტური უწყების მიერ დანიშნულ პირს ან

ორგანიზაციას, რომლის მიზანიც არის წინამდებარე დირექტივით დადგენილ პროცედურებში თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის დახმარება და წარმომადგენლობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და მისთვის სამართლებრივი მხარდაჭერის აღმოჩენა. როდესაც წარმომადგენლად ორგანიზაცია განისაზღვრება, მან უნდა დანიშნოს კონკრეტული პირი, რომელიც, ამ დირექტივის ფარგლებში, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის წარმომადგენლობის ფუნქციის განხორციელებაზე იქნება პასუხისმგებელი;

პ) "საერთაშორისო დაცვის გაუქმება" ნიშნავს კომპეტენტური უწყების მიერ 2011/95/EU დირექტივის ფარგლებში გამოტანილ გადაწყვეტილებას ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის გაუქმების, მოქმედების ვადის დასრულების ან მასზე უარის თქმის შესახებ;

ჟ) "წევრ სახელმწიფოში ყოფნა" ნიშნავს დარჩენას წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მათ შორის, საზღვარსა და სატრანზიტო ზონაში, სადაც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადი გაკეთდა ან მისი განხილვა მიმდინარეობს;

რ) "მომდევნო განაცხადი" აღნიშნავს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის განმეორებით გაკეთებას მას შემდეგ, რაც წინა განაცხადზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მათ შორის, ისეთ შემთხვევებს, როდესაც განმცხადებელმა საკუთარი განაცხადი აშკარად უკან გაიტანა და ისეთ საქმეებსაც, სადაც გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ განაცხადი მისი ირიბი უკან გატანის საფუძველზე უარყო, 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად.

მუხლი 3

მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დირექტივა ძალაშია წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, საზღვრის, ტერიტორიული წყლებისა და სატრანზიტო ზონების ჩათვლით, საერთაშორისო დაცვის შესახებ გაკეთებული ყველა განაცხადისა და საერთაშორისო დაცვის გაუქმებაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების მიმართ.

2. წინამდებარე დირექტივა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობებში დიპლომატიური და ტერიტორიული თავშესაფრის მოთხოვნაზე გაკეთებულ განაცხადებთან მიმართებით არ მოქმედებს.

3. წევრმა სახელმწიფოებმა ეს დირექტივა შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი სახის საერთაშორისო დაცვის განაცხადთან მიმართებით, რომელიც 2011/95/EU დირექტივის მოქმედების სფეროს ცდება.

მუხლი 4

პასუხიგებელი უწყება

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ყველა პროცედურისთვის პასუხიგებელი უწყება, რომელსაც ამ დირექტივის შესაბამისად განაცხადების სათანადოდ შესწავლა დაევალება. წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული უწყება წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად საჭირო ყველა საშუალებით უნდა უზრუნველყონ, საკმარისი კომპეტენტური პერსონალის ჩათვლით.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ უწყება, რომელიც განსხვავდება 1-ელ პუნქტში ნახსენები უწყებისაგან და რომელსაც დაევალება შემდეგი:

ა) საქმეების განხილვა (EU) No 604/2013 რეგულაციის თანახმად; და

ბ) შესვლის ნებართვის გაცემა ან შესვლაზე უარის თქმა 43-ე მუხლში მოცემული პროცედურის ფარგლებში, ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად და გადაწყვეტილების მიმღები უწყების დასაბუთებული მოსაზრებების საფუძველზე.

3. წევრმა სახელმწიფოებმა 1-ელ პუნქტში მითითებული უწყების პერსონალის სათანადო მომზადება უნდა უზრუნველყონ. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაგეგმონ სათანადო სწავლებები, რაც უნდა მოიცავდეს (EU)No 439/2010 რეგულაციის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებში შემავალ კომპონენტებს. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის მიერ შემუშავებული შესაბამისი სწავლებები. პირებს, რომლებიც ამ დირექტივის ფარგლებში განმცხადებლებთან ინტერვიუს პროცესში არიან ჩართულნი, უნდა ჰქონდეთ ზოგადი ცოდნა იმ პრობლემებზე, რომლებმაც შეიძლება განმცხადებლის მიერ ინტერვიუში მონაწილეობის უნარზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. მაგალითად, ის, რომ განმცხადებელი შეიძლება წარსულში წამების მსხვერპლი იყო.

4. როდესაც უწყების განსაზღვრა მე-2 პუნქტის თანახმად ხდება, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, ამ დირექტივით გათვალისწინებული მოვალეობის განხორციელებისას, უწყების პერსონალს ჰქონდეს სათანადო ცოდნა ან უზრუნველყოფილი იყოს აუცილებელი სწავლებით.

5. საერთაშორისო დაცვის განაცხადი, რომელიც ერთ წევრ სახელმწიფოში, მეორე წევრი სახელმწიფოს სასაზღვრო ან საიმიგრაციო კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი უწყების სახელზეა გაკეთებული, იმ წევრმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს, რომლის ტერიტორიაზეც განაცხადი გაკეთდა.

მუხლი 5

უფრო ხელსაყრელი პირობები

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შემოიღონ ან შეინარჩუნონ საერთაშორისო დაცვის მინიჭების ან გაუქმების პროცედურების უფრო ხელსაყრელი სტანდარტები, თუ ისინი ამ დირექტივის დებულებებს არ ეწინააღმდეგება.

თავი II

ძირითადი პრინციპები და გარანტიები

მუხლი 6

პროცედურების ხელმისაწვდომობა

1. როდესაც პირი საერთაშორისო დაცვის განაცხადს იმ უწყებაში აკეთებს, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით ასეთი განაცხადების რეგისტრირების კომპეტენცია აქვს, რეგისტრაცია განაცხადის გაკეთებიდან არაუმეტეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა მოხდეს.

თუ საერთაშორისო დაცვის განაცხადი სხვა უწყებაში გაკეთდა, რომელსაც ასეთი განაცხადით ხშირად მიმართავენ, თუმცა ეროვნული კანონმდებლობით ასეთი განაცხადების რეგისტრირების კომპეტენცია არ აქვს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეგისტრაცია განაცხადის გაკეთებიდან არაუმეტეს ექვსი სამუშაო დღის განმავლობაში განხორციელდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უწყებებს, რომლებსაც საერთაშორისო დაცვის განაცხადით ხშირად მიმართავენ, როგორცაა პოლიცია, საზღვრის დაცვისა და საიმიგრაციო ორგანოები თუ დაკავების დაწესებულებები, ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია, ხოლო მათ თანამშრომლებს მიღებული ჰქონდეთ მათი ამოცანების და პასუხისმგებლობის შესაბამისი სწავლება და ინსტრუქციები, რათა შეძლონ განმცხადებლების ინფორმირება, სად და როგორ არის შესაძლებელი საერთაშორისო დაცვის განაცხადის დარეგისტრირება.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირს, რომელიც საერთაშორისო დაცვის განაცხადს აკეთებს, მისი შეტანა უმოკლეს ვადებში შეეძლოს.

როდესაც განმცხადებელს განაცხადი არ შეაქვს, წევრმა სახელმწიფოებმა შესაბამისად უნდა გამოიყენონ 28-ე მუხლი.

3. მე-2 პუნქტის დარღვევის გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ საერთაშორისო დაცვის განაცხადი შეტანილი იქნეს პირადად და/ან ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

4. მე-3 პუნქტის მიუხედავად, საერთაშორისო დაცვის განაცხადი შეტანილად ითვლება განმცხადებლის მიერ ფორმის ჩაბარების მომენტიდან ან, სადაც ეს ეროვნული კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მას შემდეგ, რაც მოცემული წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყება ოფიციალურ მოხსენებას მიიღებს.

5. როდესაც მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების დიდი რაოდენობის მიერ საერთაშორისო დაცვის განაცხადის ერთდროულად წარდგენა 1-ელ პუნქტში მოცემული ვადების დაცვას პრაქტიკაში განსაკუთრებით ართულებს, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ვადა 10 სამუშაო დღემდე გაზარდონ.

მუხლი 7

დამოკიდებულ ან არასრულწლოვან პირთა სახელით გაკეთებული განაცხადები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეულ ზრდასრულ და ქმედუნარიან პირს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის საკუთარი სახელით გაკეთების უფლება ჰქონდეს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ, რომ განმცხადებელს განაცხადის გაკეთება მასზე დამოკიდებული პირების სახელითაც შეეძლოს. ასეთ შემთხვევებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დამოკიდებული ზრდასრული პირების თანხმობა მათი სახელით განაცხადის გაკეთებაზე, ხოლო უარის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს უნდა შეეძლოთ თავიანთი სახელით განაცხადის შეტანა.

თანხმობა განაცხადის შეტანის დროს ან არაუგვიანეს დამოკიდებულ ზრდასრულთან პირადი გასაუბრების ჩატარების მომენტში მოითხოვება. თანხმობის მოთხოვნამდე, თითოეულ დამოკიდებულ პირს პირადად უნდა აცნობონ მისი სახელით განაცხადის შეტანის პროცედურული შედეგებისა და საერთაშორისო დაცვის შესახებ ცალკე განაცხადის შეტანის უფლების თაობაზე.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვანებს საერთაშორისო დაცვის განაცხადის წარდგენა შეეძლოთ ან საკუთარი სახელით (იმ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით მათ ამ

პროცედურებში მონაწილეობის სამართლებრივი უფლებამოსილება აქვთ) ან საკუთარი მშობლების, ოჯახის სხვა ზრდასრული წევრების, მათზე პასუხისმგებლობის მქონე სხვა ზრდასრული პირების ან, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან პრაქტიკით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წარმომადგენლის საშუალებით.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამის უწყებებს, რომლებიც აღნიშნულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის 2008/115/EC დირექტივაში «წევრ სახელმწიფოებში უკანონოდ მყოფი მესამე ქვეყნების მოქალაქეების დაბრუნების ერთიანი სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ»⁽¹⁰⁾, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვნის სახელით საერთაშორისო დაცვის განაცხადის გაკეთების უფლება ჰქონდეთ, თუ მისი ინდივიდუალური სიტუაციის შეფასების საფუძველზე, ეს უწყებები მიიჩნევენ, რომ არასრულწლოვანს შეიძლება ჰქონდეს დაცვის საჭიროება, 2011/95/EU დირექტივის შესაბამისად.

5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, საკუთარი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრონ:

- ა) შემთხვევები, რომლებშიც არასრულწლოვანს საკუთარი სახელით განაცხადის გაკეთება შეუძლია;
- ბ) შემთხვევები, რომლებშიც თანმხლების გარეშე მყოფი მოზარდის სახელით, 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განაცხადის დარეგისტრირება წარმომადგენელს შეუძლია;
- გ) შემთხვევები, რომლებშიც საერთაშორისო დაცვის განაცხადის დარეგისტრირება მიიჩნევა, რომ ავტომატურად ნიშნავს საერთაშორისო დაცვის განაცხადის დარეგისტრირებას ნებისმიერი დაუქორწინებელი არასრულწლოვანის სახელით.

მუხლი 8

ინფორმაცია და კონსულტაცია დაკავების დაწესებულებებსა და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში

1. როდესაც არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც იმყოფებიან დაკავების დაწესებულებებში ან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, სატრანზიტო ზონებისა და გარე საზღვრების ჩათვლით, შეიძლება საერთაშორისო დაცვის განაცხადის გაკეთების სურვილი ჰქონდეთ, წევრმა სახელმწიფოებმა მათ ამ შესაძლებლობის შესახებ უნდა აცნობონ. წევრმა სახელმწიფოებმა დაკავების დაწესებულებებსა და სასაზღვრო-გამშვებ

პუნქტებში თავშესაფრის პროცედურების ხელშესაწყობად თარჯიმნით უზრუნველყოფის აუცილებელი პირობები უნდა შექმნან.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც განმცხადებლების რჩევებს აძლევენ და დახმარებას უწევენ, საზღვრის გადაკვეთის პუნქტებში, სატრანზიტო ზონებისა და გარე საზღვრების ჩათვლით, მათთან ეფექტური წვდომა ჰქონდეთ. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეიმუშავონ წესები, რომლებიც ასეთი ორგანიზაციებისა და პირების საზღვრის გადაკვეთის ადგილებზე წვდომას განსაზღვრავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებთან შეთანხმებით განისაზღვროს. წვდომაზე შეზღუდვა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში უნდა დაწესდეს, როცა ეროვნული კანონმდებლობის ძალით, შესაბამისი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და მართვასთან დაკავშირებული გარემოებებიდან გამომდინარე, ამის ობიექტური აუცილებლობა არსებობს. თუმცა, ამ შემთხვევებშიც, წვდომა მკაცრად შეზღუდული ან შეუძლებელი არ უნდა იყოს.

მუხლი 9

წევრ სახელმწიფოში ყოფნის უფლება განაცხადის განხილვის პერიოდში

1. განმცხადებლებს წევრ სახელმწიფოში დარჩენის ნებართვა მხოლოდ პროცედურული დანიშნულებით უნდა ჰქონდეთ, სანამ შესაბამისი კომპეტენტური უწყება მე-3 თავში მოცემული დებულებების შესაბამისად პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას არ გამოიტანს. დარჩენის უფლება მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებას არ გულისხმობს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა პირს შეაქვს შემდგომი განცხადი, რომელზეც 41-ე მუხლშია მითითებული ან როცა წევრი სახელმწიფოები პირს - არსებული გარემოებების მიხედვით - სხვა წევრ სახელმწიფოს გადასცემენ, დაკავების ევროპული ორდერის [\(11\)](#) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ან სხვაგვარად, ან მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოებისთვის ან ტრიბუნალებისთვის.

3. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მოახდინოს განმცხადებლის ექსტრადიცია მესამე ქვეყანაში მე-2 პუნქტის მიხედვით მხოლოდ მაშინ, როცა კომპეტენტური უწყებები დარწმუნდებიან, რომ ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება არ გამოიწვევს

პირდაპირ ან ირიბ გაძევებას წევრი სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო და საკავშირო ვალდებულებების დარღვევით.

მუხლი 10

განაცხადების შესწავლის მოთხოვნები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვის განაცხადის უარყოფა ან არდაშვება არ მოხდეს მხოლოდ იმის გამო, რომ ის მაქსიმალურად მოკლე ვადაში არ იყო წარდგენილი.
2. საერთაშორისო დაცვის განაცხადების შესწავლისას, გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებს და თუ არ აკმაყოფილებს, მაშინ რამდენად აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის კრიტერიუმებს.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისმა უწყებამ საერთაშორისო დაცვის განაცხადების შესახებ გადაწყვეტილება სათანადო შესწავლის საფუძველზე მიიღოს. ამისთვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:
 - ა) განაცხადების შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად;
 - ბ) ზუსტი და უახლესი ინფორმაციის მიღება სხვადასხვა წყაროებიდან, როგორცაა ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და ადამიანის უფლებათა დამცველი სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციები და მისი მიწოდება განაცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის. ეს ინფორმაცია უნდა ეხებოდეს განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ზოგად სიტუაციას და, სადაც აუცილებელია, ინფორმაციას იმ ქვეყნების შესახებაც, რომლებიც განმცხადებლებმა გამოიარეს;
 - გ) განაცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული პერსონალის მიერ თავშესაფრისა და ლტოლვილთა კანონმდებლობით დადგენილი სათანადო სტანდარტების ცოდნა;
 - დ) განაცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული პერსონალის მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში, რჩევის მიღების შესაძლებლობა კონკრეტული ექსპერტებისგან ისეთ სფეროებში, როგორცაა მედიცინა და კულტურული თავისებურებები, ასევე, ბავშვებთან დაკავშირებული და გენდერული საკითხები.

4. მე-5 თავში მითითებულ უწყებებს, გადაწყვეტილების მიმღები უწყების ან განმცხადებლის მეშვეობით, ან სხვა გზით, უნდა ჰქონდეს წვდომა მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულ ზოგად ინფორმაციაზე, რომელიც მათ მიერ მოვალეობების განსახორციელებლად არის აუცილებელი.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ განაცხადების შესწავლისთვის საჭირო დოკუმენტების თარგმნის წესები.

მუხლი 11

გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვაზე გამოტანილი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით გაიცეს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ როდესაც ლტოლვილის და/ან დამატებითი დაცვის სტატუსზე უარყოფითი გადაწყვეტილებაა გამოტანილი, მასში წერილობით იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გასაჩივრება.

წევრი სახელმწიფო არ არის ვალდებული, განმცხადებელს უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებასთან ერთად წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მისი გასაჩივრება, თუ განმცხადებელს ასეთი ინფორმაცია უფრო ადრეულ ეტაპებზე, წერილობით ან მისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული საშუალებებით მიეწოდა.

3. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში და როდესაც განაცხადი მსგავს საფუძვლებს ეყრდნობა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ ერთიანი გადაწყვეტილება, რომელიც ვრცელდება ყველა განმცხადებელზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განმცხადებლის კონკრეტული გარემოებების გასაჯაროებას გამოიწვევს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის ინტერესებს, განსაკუთრებით, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და/ან ასაკის ნიშნით დევნასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში, ამ პირზე გადაწყვეტილება ცალკე უნდა იქნას მიღებული.

მუხლი 12

განმცხადებლის გარანტიები

1. მე-3 თავში მოცემული პროცედურების თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა ყველა განმცხადებელი შემდეგი გარანტიებით უნდა უზრუნველყონ:

ა) მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია - იმ ენაზე, რომელიც ესმით ან არის გონივრული საფუძველი, რომ უნდა ესმოდეთ - შემდეგ საკითხებზე: გასავლელი პროცედურები; უფლება-მოვალეობები, რომლებიც მათ აქვთ ამ პროცედურების გავლისას; ვალდებულებების შეუსრულებლობით და ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმით გამოწვეული შესაძლო შედეგები. მათ უნდა გააცნონ ვადები და მათ ხელთ არსებული საშუალებები, რომლებიც მათ 2011/95/EU დირექტივის მე-4 მუხლში მითითებული ელემენტების წარდგენის ვალდებულების შესრულებისთვის აქვთ. მათ ასევე უნდა აცნობონ განაცხადის პირდაპირი ან არაპირდაპირი გატანით გამოწვეული შედეგების შესახებ. ეს ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნეს დროულად, რათა განმცხადებლებმა ამ დირექტივით გარანტირებული უფლებების განხორციელება და მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება შეძლონ;

ბ) კომპეტენტური უწყებებისთვის თავიანთი საქმეების წარდგენისას, საჭიროების შემთხვევაში, მათ თარჯიმნის მომსახურება უნდა მიიღონ. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ასეთი მომსახურების მიწოდების აუცილებლობა, სულ მცირე, განმცხადებელთან გასაუბრების დროს, როგორც ეს მე-14 - მე-17 და 34-ე მუხლებშია მითითებული და როდესაც ასეთი მომსახურების გარეშე სათანადო კომუნიკაციის უზრუნველყოფა ვერ ხდება. ამ და სხვა შემთხვევებში, როდესაც კომპეტენტური უწყებები იწვევენ განმცხადებელს, მომსახურების საფასური სახელმწიფო სახსრებით უნდა დაიფაროს;

გ) მათ არ უნდა ეთქვათ უარი გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისariatთან ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან კომუნიკაციაზე, რომელიც განმცხადებლისთვის სამართლებრივ და სხვა სახის დახმარებას შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს;

დ) მათ და, საჭიროებისამებრ, მათ სამართლებრივ და სხვა სახის კონსულტანტებს, 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, უნდა ჰქონდეთ წვდომა მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასა და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ექსპერტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი უწყება მათი განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ამ ინფორმაციას ითვალისწინებს;

ე) მათ გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოთ ცნობა გადაწყვეტილების მიმღები

უწყების მიერ მათ განაცხადზე გამოტანილი დასკვნის შესახებ. თუ სამართლებრივი და სხვა სახის კონსულტანტი განმცხადებელს სამართლებრივად წარმოადგენს, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება არჩიონ, რომ შესაბამისი ცნობა, განმცხადებლის ნაცვლად, აღნიშნულ პირს გადასცენ;

ვ) გადაწყვეტილების მიმღები უწყების მიერ მათ განაცხადზე გამოტანილი დასკვნის შესახებ განმცხადებლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ იმ ენაზე, რომელიც ესმით ან არსებობს გონივრული საფუძველი, რომ უნდა ესმოდეთ, თუ დახმარებას არ იღებენ ან წარმოდგენილნი არ არიან სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტით. მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ცნობას იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრება მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

2. მე-5 თავში მოცემული პროცედურების თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა განმცხადებელმა 1-ელი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიების თანაბარი პრივილეგიებით ისარგებლოს.

მუხლი 13

განმცხადებლების მოვალეობები

1. წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებლებს მათი იდენტიფიცირებისა და 2011/95/EU დირექტივის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა საკითხების დასადგენად კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობის მოვალეობა უნდა დააკისრონ. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განმცხადებლებისთვის სხვა მოვალეობების დაკისრებაც, იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს კომპეტენტური უწყებების მიერ მათი განაცხადების განსახილველად არის აუცილებელი.

2. კონკრეტულად, წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებლებისგან შეიძლება მოითხოვონ:

ა) წარადგინონ ანგარიში ან პირადად გამოცხადნენ კომპეტენტურ უწყებაში, დაგვიანების გარეშე ან განსაზღვრულ დროს;

ბ) გადასცენ მათი საქმეების განხილვისთვის გამოსადეგი და მათ ხელთ არსებული საბუთები, მაგალითად, პასპორტები;

- გ) დაუყოვნებლივ შეატყობინონ კომპეტენტურ უწყებას მათი ამჟამინდელი საცხოვრებლის ადგილი ან მისამართი და ადგილსამყოფელის ნებისმიერი ცვლილება. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ განმცხადებელს დაეკისროს ნებისმიერი სახის კომუნიკაციის მიღება მის ბოლო საცხოვრებელ ადგილზე ან მის მიერ მითითებულ მისამართზე;
- დ) კომპეტენტურ უწყებებს მიეცეს მათი და მათი ნივთების ჩხრეკის უფლება. უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული ჩხრეკის დარღვევის გარეშე, ამ დირექტივის ფარგლებში, პირადი ჩხრეკა იმავე სქესის პირმა უნდა ჩაატაროს, ადამიანის პატივისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ღირსების პრინციპების დაცვით;
- ე) კომპეტენტურ უწყებებს მიეცეს მათი ფოტოგრაფირების ნება; და,
- ვ) კომპეტენტურ ორგანოს შეეძლოს განმცხადებლის მიერ გაკეთებული ზეპირი განცხადებების ჩაწერა, იმ პირობით, რომ განმცხადებელი ამის შესახებ წინასწარ იქნება გაფრთხილებული.

მუხლი 14

პირადი გასაუბრება

1. გადაწყვეტილების მიმღები უწყების მიერ საერთაშორისო დაცვის შესახებ მის მიერ შეტანილ განაცხადზე დასკვნის გამოტანამდე, განმცხადებელს პირადი გასაუბრების შესაძლებლობა უნდა მიეცეს იმ პირობით, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით მსგავსი გასაუბრების ჩატარების კომპეტენცია აქვს. საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის შინაარსობრივ ნაწილზე პირადი გასაუბრება გადაწყვეტილების მიმღები უწყების თანამშრომელმა უნდა ჩაატაროს. ამ დებულებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს.

როდესაც მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების დიდი რაოდენობის მიერ საერთაშორისო დაცვის განაცხადის ერთდროულად გაკეთება გადაწყვეტილების მიმღები უწყებისთვის თითოეული განაცხადის შინაარსობრივ ნაწილზე დროული გასაუბრების ჩატარებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის, წევრმა სახელმწიფოებმა ასეთი გასაუბრების ჩატარება შეიძლება დროებით სხვა უწყებების თანამშრომლებს დაავალონ. ასეთ შემთხვევებში, სხვა უწყების თანამშრომელმა წინასწარ უნდა გაიაროს სათანადო წვრთნა, რომელიც მოიცავს (EU) No439/2010-რეგულაციის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებში მოცემულ კომპონენტებს. ამ დირექტივის ფარგლებში ჩატარებულ პირად გასაუბრებებში

ჩართულმა პირებმა უნდა შეიძინონ ზოგადი ცოდნა იმ პრობლემებზე, რომლებიც უარყოფითად აისახება განმცხადებლის უნარზე, მიიღოს მონაწილეობა გასაუბრებაში. მაგალითად, იმის ნიშნებზე, რომ განმცხადებელს შეიძლება წარსულში გადატანილი ჰქონდეს წამება.

როდესაც პირს საერთაშორისო დაცვის განაცხადი მასზე დამოკიდებულ პირთა სახელით შეაქვს, თითოეულ ზრდასრულ პირს პირადი გასაუბრების შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობებით განსაზღვრონ, რამდენად მიეცემა არასრულწლოვანს პირადი გასაუბრების შესაძლებლობა.

2. განაცხადის შინაარსზე პირადი გასაუბრება შეიძლება არ ჩატარდეს, როდესაც:

ა) გადაწყვეტილების მიმღები უწყება, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, მზადაა ლტოლვილის სტატუსზე პოზიტიური დასკვნის გამოსატანად; ან,

ბ) გადაწყვეტილების მიმღები უწყება მიიჩნევს, რომ განმცხადებელს გასაუბრებაში მონაწილეობა მუდმივი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, ქმედუნარობის ან შეუძლოდ ყოფნის გამო არ შეუძლია. ექვსის გაჩენის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ უნდა მიიღოს კონსულტაცია პროფესიონალი ექიმისგან, რათა დადგინდეს განმცხადებლის ქმედუნარობას ან შეუძლოდ ყოფნას დროებითი ხასიათი აქვს თუ ქრონიკული.

როდესაც პირადი გასაუბრება განმცხადებელთან ან დამოკიდებულ პირთან „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული მიზეზებით არ ტარდება, გონივრული ძალისხმევა უნდა იქნას გაწეული, რათა მათ დამატებითი ინფორმაციის მოწოდების საშუალება მიეცეთ.

3. ამ მუხლის კონტექსტში პირადი გასაუბრების ჩატარებლობის გამო შესაბამისმა უწყებამ საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებულ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებისგან თავი არ უნდა შეიკავოს.

4. თუ გასაუბრება ვერ ტარდება მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზეზების გამო, ამან გადაწყვეტილების მიმღები უწყების დასკვნაზე უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს.

5. 28-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიუხედავად, საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მხედველობაში მიიღონ ის

გარემოება, რომ განმცხადებელი პირად გასაუბრებაზე არ გამოცხადდა, თუ აღნიშნული პირი სათანადო მიზეზებს არ წარმოადგენს.

მუხლი 15

პირადი გასაუბრების მოთხოვნები

1. პირადი გასაუბრება, ჩვეულებრივ, ოჯახის წევრების დაუსწრებლად უნდა ჩატარდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები უწყება მათ დასწრებას განაცხადის სათანადო შესწავლისთვის აუცილებლად მიიჩნევს.

2. პირადი გასაუბრება ისეთ პირობებში უნდა ჩატარდეს, რომლებიც კონფიდენციალობის სათანადოდ დაცვას უზრუნველყოფს.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები ისეთი პირობების უზრუნველსაყოფად, რომლებიც განმცხადებლებს საქმის სრულყოფილად წარმოდგენის საშუალებას მისცემს. ამისთვის წევრმა სახელმწიფოებმა:

ა) უნდა უზრუნველყონ, რომ გამსაუბრებელს სათანადო კომპეტენცია ჰქონდეს განაცხადის ირგვლივ არსებული პირადი და ზოგადი გარემოებების გასათვალისწინებლად, განმცხადებლის კულტურული წარმომავლობის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და მოწყვლადობის ჩათვლით;

ბ) შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყონ, რომ გასაუბრება იმავე სქესის პირმა ჩაატაროს, თუ განმცხადებელი ამას ითხოვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები უწყება მიიჩნევს, რომ ეს მოთხოვნა არ უკავშირდება იმ სირთულეს, რომელიც განმცხადებელს საკუთარი საქმის სრულყოფილად წარმოდგენაში უშლის ხელს;

გ) უნდა შეარჩიონ ისეთი თარჯიმანი, რომელიც განმცხადებელსა და გამსაუბრებელს შორის სათანადო კომუნიკაციას უზრუნველყოფს. კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს განმცხადებლისთვის სასურველ ენაზე, თუ არ არსებობს სხვა ენა, რომელიც მას ესმის და რომელზეც მკაფიო კომუნიკაცია შეუძლია. წევრმა სახელმწიფოებმა შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყონ, რომ თარჯიმანი იმავე სქესის იყოს, თუ განმცხადებელი ამას ითხოვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები უწყება მიიჩნევს, რომ ეს მოთხოვნა არ უკავშირდება იმ სირთულეს, რომელიც განმცხადებელს საკუთარი საქმის სრულყოფილად წარმოდგენაში უშლის ხელს;

დ) უნდა უზრუნველყონ, რომ პირს, რომელიც საერთაშორისო დაცვის განაცხადის

შინაარსზე გასაუბრებას ატარებს, არ აცვია სამხედრო ან სამართალდამცველი უწყებების ფორმა;

ე) უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვანებთან გასაუბრება ბავშვისთვის შესაბამისი წესით ჩატარდეს.

4. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ წესები, რომლებიც პირად გასაუბრებებზე მესამე პირების დასწრებას განსაზღვრავს.

მუხლი 16

პირადი გასაუბრების შინაარსი

საერთაშორისო დაცვის განაცხადის შინაარსზე პირადი გასაუბრების ჩატარებისას, გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს, რომ, 2011/95/EU დირექტივის მე-4 მუხლის შესაბამისად, განმცხადებელს მისი განაცხადის დასაბუთებისთვის საჭირო ყველა კომპონენტის მაქსიმალურად სრულყოფილად წარმოდგენის სათანადო შესაძლებლობა ჰქონდეს. ეს მის განცხადებებში გამორჩენილი კომპონენტების და/ან ყველა შეუსაბამობისა და წინააღმდეგობის შესახებ ახსნა-გამარტების მიცემის შესაძლებლობას უნდა მოიცავდეს.

მუხლი 17

პირადი გასაუბრების ანგარიში და ჩაწერა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული გასაუბრების საფუძველზე შედგეს სრული და ფაქტებზე დაფუძნებული ანგარიში ან სტენოგრამა, რომელიც ყველა შინაარსობრივ კომპონენტს შეიცავს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გასაუბრების აუდიო- ან აუდიო-ვიზუალური ჩაწერა განახორციელონ. ასეთ შემთხვევებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ჩანაწერი ან სტენოგრამა განმცხადებლის საქმესთან ერთად იყოს ხელმისაწვდომი.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ განმცხადებელს ჰქონდეს ანგარიშსა და სტენოგრამაში არსებულ ნებისმიერ მცდარ თარგმანსა თუ გაუგებრობაზე კომენტარის და/ან ზეპირი და/ან წერილობითი ახსნა-გამარტების გაკეთების შესაძლებლობა პირადი გასაუბრების დასრულებისას ან წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი უწყების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განმცხადებლის სრულად ინფორმირება ანგარიშის შინაარსზე ან სტენოგრამის შინაარსობრივ კომპონენტებზე,

საჭიროების შემთხვევაში - თარჯიმნის დახმარებითაც. ამის შემდეგ, წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებლისგან უნდა მოითხოვონ იმის დადასტურება, რომ ანგარიშის ან სტენოგრამის შინაარსი გასაუბრებას სწორად ასახავს.

როდესაც პირადი გასაუბრების ჩაწერა მე-2 პუნქტის მიხედვით ხდება, ხოლო ჩანაწერი მტკიცებულებად არის დაშვებული გასაჩივრების პროცედურებზე, რომლებიც განსაზღვრულია მე-5 თავში, წევრ სახელმწიფოებს არ სჭირდებათ განმცხადებელს მოთხოვონ იმის დადასტურება, რომ ანგარიშის ან სტენოგრამის შინაარსი გასაუბრებას სწორად ასახავს. მე-16 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც ეხება როგორც გასაუბრების სტენოგრამას, ასევე ჩანაწერსაც, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არ არიან, განმცხადებელს სტენოგრამასთან დაკავშირებით კომენტარის ან ახსნა-განმარტების გაკეთების საშუალება მისცენ.

4. როდესაც განმცხადებელი გასაუბრების ანგარიშის ან სტენოგრამის შინაარსის სისწორის დადასტურებაზე უარს ამბობს, მის მიერ უარის თქმის მიზეზები საქმეში უნდა შევიდეს.

ამ უარმა შესაბამისი უწყების მიერ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა შეაფერხოს.

5. განმცხადებლებს და მათ სამართლებრივ და სხვა სახის კონსულტანტებს, როგორც ეს 23-ე მუხლშია განსაზღვრული, შესაბამისი უწყების მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ანგარიშზე ან სტენოგრამაზე და, საჭიროებისამებრ, ჩანაწერზეც, წვდომა უნდა ჰქონდეთ.

როდესაც წევრი სახელმწიფო პირადი გასაუბრების სტენოგრამასა და ჩანაწერს ერთდროულად აკეთებს, იგი ვალდებული არ არის, ჩანაწერებზე წვდომა მე-3 თავში მოცემული პირველი ინსტანციის პროცედურების ფარგლებში დაუშვას. მაგრამ, ვალდებულია, ასეთი წვდომა მე-5 თავში მოცემული გასაჩივრების პროცედურების ფარგლებში უზრუნველყოს.

ამ მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის გარეშე, სადაც განაცხადი 32-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად განიხილება, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ანგარიშზე ან სტენოგრამაზე და, საჭიროებისამებრ, ჩანაწერზეც, წვდომა უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღების დროს.

მუხლი 18

სამედიცინო შემოწმება

1. როდესაც გადაწყვეტილების მიმღები უწყება საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის შესწავლას 2011/95/EU დირექტივის მე-4 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა, განმცხადებლების თანხმობის პირობით, მისი სამედიცინო შემოწმება უნდა უზრუნველყონ იმ ნიშნების შესასწავლად, რომლებიც შეიძლება წარსულში დევნაზე ან სერიოზულ ზიანზე მიანიშნებდეს. დამატებით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან, რომ სამედიცინო შემოწმება განმცხადებელმა უზრუნველყოს.

1-ელ ქვეპუნქტში მითითებული სამედიცინო შემოწმება კვალიფიცირებულმა პროფესიონალმა ექიმებმა უნდა ჩატარონ და მისი შედეგი გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს. ამ გამოკვლევებისთვის პროფესიონალი ექიმები შეიძლება წევრმა სახელმწიფოებმა დანიშნონ. განმცხადებლის უარმა ასეთი სამედიცინო შემოწმების ჩატარებაზე შესაბამისი უწყების მიერ საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა შეაფერხოს.

ამ პუნქტის ფარგლებში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების ხარჯები სახელმწიფო სახსრებით უნდა დაიფაროს.

2. როდესაც 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო შემოწმება არ ტარდება, წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებლებს უნდა აცნობონ, რომ მათ შეუძლიათ, საკუთარი ინიციატივითა და ხარჯებით, სამედიცინო გამოკვლევის უზრუნველყოფა იმ ნიშნების შესასწავლად, რომლებიც შეიძლება წარსულში დევნაზე ან სერიოზულ ზიანზე მიანიშნებდეს.

3. 1-ელი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სამედიცინო შემოწმების შედეგი გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ სხვა კომპონენტებთან ერთობლიობაში უნდა შეაფასოს.

მუხლი 19

სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაციის უფასოდ მიწოდება პირველი ინსტანციის პროცედურების მიმდინარეობისას

1. მე-3 თავის კონტექსტში, პირველი ინსტანციის პროცედურებისას, წევრმა სახელმწიფოებმა, მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებელს სამართლებრივი და პროცედურული ხასიათის ინფორმაცია, მათ შორის, სულ მცირე, ცნობები მის გარემოებებთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე, უფასოდ უნდა მიაწოდონ. პირველ ინსტანციაში უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-12

მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, განმცხადებელს ასევე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიზეზებს განმარტავს და შეიცავს ცნობებს მისი გასაჩივრების შესახებ.

2. სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაციის უფასოდ მიწოდება 21-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებით უნდა იყოს შეზღუდული.

მუხლი 20

უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა გასაჩივრების პროცედურების მიმდინარეობისას

1. წევრმა სახელმწიფოებმა, განმცხადებლის მოთხოვნით, მე-5 თავში განსაზღვრული გასაჩივრების პროცედურების მიმდინარეობისას, უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა უნდა უზრუნველყონ. აღნიშნული უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, საჭირო პროცედურული დოკუმენტების მომზადებასა და განმცხადებლის სახელით პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ტრიბუნალში მონაწილეობას.

2. წევრმა სახელმწიფოებმა, მე-3 თავში განსაზღვრული პირველი ინსტანციის პროცედურების მიმდინარეობისას, უფასო სამართლებრივი დახმარება და/ან წარმომადგენლობა უნდა უზრუნველყონ. ასეთ შემთხვევებში მე-19 მუხლი არ მოქმედებს.

3. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უარი თქვან უფასო სამართლებრივი დახმარების და წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე ისეთ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებლის საჩივარი სასამართლოს, ტრიბუნალის ან სხვა კომპეტენტური უწყების მიერ პრაქტიკულად უპერსპექტივოდ არის მიჩნეული.

როდესაც ამ დებულების თანახმად სამართლებრივი დახმარების და წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე განმცხადებელს უარს ისეთი უწყება ეუბნება, რომელიც არც სასამართლოს წარმოადგენს და არც ტრიბუნალს, წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებელს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში ან ტრიბუნალში ქმედითად გასაჩივრების უფლება უნდა მისცენ.

ამ დებულების გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა არ იყოს თვითნებურად შეზღუდული და განმცხადებელს სამართალზე ქმედითი წვდომის პროცესში შეფერხება არ ჰქონდეს.

4. უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა 21-ე მუხლში მოცემულ პირობებს უნდა დაექვემდებაროს.

მუხლი 21

უფასო სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაციისა და უფასო სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფის პირობები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-19 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებებში მომუშავე პროფესიონალების ან სახელმწიფოს სპეციალური სამსახურების მიერ იყოს მიწოდებული.

მე-20 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა ეროვნული კანონმდებლობით დაშვებული ან ნებადართული პირების მიერ უნდა იყოს მიწოდებული.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-19 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაცია და მე-20 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი იყოს:

ა) მხოლოდ მათთვის, ვისაც საკმარისი რესურსები არ აქვს; და/ან,

ბ) მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში სპეციალურად განმცხადებლების დამხარებისა და წარმომადგენლობის მიზნით დანიშნული სამართლებრივი და სხვა სახის კონსულტანტების მიერ.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-20 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა მიწოდებული იქნეს მხოლოდ მე-5 თავის კონტექსტში განხორციელებული გასაჩივრების პროცედურებისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში ან ტრიბუნალში და არა - შემდგომი გასაჩივრებისას ან გადახედვისას ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, განმეორებითი განხილვის ან სააპელაციო გადასინჯვის ჩათვლით.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ასევე უზრუნველყონ, რომ მე-20 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა არ იყოს მიწოდებული იმ განმცხადებლებისთვის, რომლებიც 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებისას მათ ტერიტორიაზე არ იმყოფებიან.

3. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება თავად შეიმუშავონ მე-19 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაციისა და მე-20 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლობის მოთხოვნის წარდგენისა და განხილვის პირობებთან დაკავშირებული წესები.

4. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება, ასევე:

ა) დააწესონ მე-19 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაციისა და მე-20 მუხლში მოცემული უფასო სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ფულადი და/ან დროითი შეზღუდვები იმ პირობით, რომ ისინი სამართლებრივ და პროცედურულ ინფორმაციაზე, ასევე, უფასო სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენლობაზე წვდომას თვითნებურად არ შეაფერხებს;

ბ) უზრუნველყონ, რომ მოსაკრებლის ან სხვა ხარჯების კუთხით განმცხადებლების მიმართ წაყენებული მოთხოვნები არ იქნება უფრო შეღავათიანი, ვიდრე ზოგადი პოლიტიკა ქვეყნის იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც სამართლებრივ დახმარებას საჭიროებენ.

5. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ გაწეული ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა, თუ, და იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ან თუ აღმოჩნდება, რომ სახსრები მის მიერ მიწოდებული მცდარი ინფორმაციის საფუძველზე იყო გახარჯული.

მუხლი 22

სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლობის უფლება პროცედურის ყველა ეტაპზე

1. განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ხარჯებით სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტისგან რჩევის ეფექტურად მიღების შესაძლებლობა საერთაშორისო დაცვის განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც, თუ ეს ეროვნული კანონმდებლობით არის დაშვებული ან ნებადართული.

2. წევრმა სახელმწიფოებმა, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებს მე-3 და მე-5 თავებში გაწერილი პროცედურების მიმდინარეობისას განმცხადებლების სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლობის ნება დართონ.

მუხლი 23

სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლობის ფარგლები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართლებრივ ან სხვა სახის კონსულტანტს, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით არის დაშვებული ან ნებადართული და განმცხადებელს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ეხმარება და წარმოადგენს, ჰქონდეს წვდომა განმცხადებლის საქმეში არსებულ იმ ინფორმაციაზე, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან გამონაკლისი იმ შემთხვევებში, როცა ინფორმაციის ან წყაროების გამხელამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ინფორმაციის მიმწოდებელ ორგანიზაციებს/პირებს, ან იმ პირებს, რომლებსაც ეს ინფორმაცია უკავშირდება, ისევე, როგორც მაშინ, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების მიერ საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლასთან დაკავშირებულ საგამომიებო ინტერესს ან მის საგარეო ურთიერთობებს. ასეთ შემთხვევებში, წევრმა სახელმწიფოებმა:

ა) ამ ინფორმაციაზე ან წყაროებზე წვდომა მე-5 თავში მოცემულ უწყებებს უნდა მისცენ; და,

ბ) ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, განმცხადებლის დაცვის გარანტიები შეიმუშავონ.

(ბ) პუნქტთან დაკავშირებით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება, ასეთ ინფორმაციაზე ან წყაროებზე წვდომა სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტისთვის დაუშვან უსაფრთხოების შემოწმების შემდეგ, იმ ხარისხით, რომელიც საკმარისია განაცხადის შესასწავლად ან საერთაშორისო დაცვის გასაუქმებლად.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართლებრივ ან სხვა სახის კონსულტანტს, რომელიც განმცხადებელს ეხმარება ან წარმოადგენს, მისი დახმარების მიზნით, წვდომა ჰქონდეს დახურულ ობიექტებზე, როგორცაა დაკავების დაწესებულებები და სატრანზიტო ზონები, 2013/33/EU დირექტივის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 „ბ“ და „გ“ პუნქტების მიხედვით.

3. წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებელს პირად გასაუბრებაზე სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტის დასწრების უფლება უნდა მისცენ, თუ ეს ეროვნული კანონმდებლობით არის დაშვებული ან ნებადართული.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ სამართლებრივ ან სხვა სახის კონსულტანტს ჩარევის უფლება მხოლოდ პირადი გასაუბრების დასასრულს ჰქონდეს.

4. წინამდებარე მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეიმუშავონ პროცედურის ფარგლებში ჩატარებულ ყველა გასაუბრებაში სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტის მონაწილეობის წესები.

წევრმა სახელმწიფოებმა პირად გასაუბრებაზე განმცხადებლის დასწრება შეიძლება მოითხოვონ მაშინაც კი, თუ ის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტით არის წარმოდგენილი. შეუძლიათ, ასევე, განმცხადებელს მოთხოვონ, რომ კითხვებზე პასუხი პირადად გასცეს.

25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გარეშე, სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტანტის არყოფნამ კომპეტენტურ უწყებას განმცხადებელთან პირადი გასაუბრების ჩატარებაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

მუხლი 24

სპეციალური პროცედურული გარანტიების მქონე განმცხადებლები

1. წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო დაცვის განაცხადის გაკეთებიდან გონივრულ ვადაში უნდა განსაზღვრონ, საჭიროებს თუ არა განმცხადებელი სპეციალურ პროცედურულ გარანტიებს.

2. 1-ელ პუნქტში მითითებული შეფასება შეიძლება ინტეგრირებული იქნეს არსებულ ეროვნულ პროცედურებში და/ან 2013/33/EU დირექტივის 22-ე მუხლში მითითებულ შეფასებაში და ადმინისტრაციული პროცედურის ფორმის მიღებას არ მოითხოვს.

3. როდესაც დადგინდება, რომ განმცხადებლები სპეციალურ პროცედურულ გარანტიებს საჭიროებენ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი სათანადო მხარდაჭერა, რათა მათ თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში ამ დირექტივით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობისა და თავიანთი მოვალეობების შეასრულებინ საშუალება ჰქონდეთ.

როდესაც 31-ე მუხლის მე-8 პუნქტითა და 43-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა წევრი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ განმცხადებელი სპეციალურ პროცედურულ გარანტიებს წამების, გაუპატიურების ან ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის სხვა მძიმე ფორმების გამო

საჭიროებს, წევრმა სახელმწიფოებმა 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი და 43-ე მუხლი არ უნდა გამოიყენონ ან მათი გამოყენება უნდა შეწყვიტონ. როდესაც წევრი სახელმწიფოები მიმართავენ 46-ე მუხლის მე-7 პუნქტს იმ განმცხადებლებზე, რომელთა მიმართაც ამ ქვეპუნქტის თანახმად 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი და 43-ე მუხლი არ გამოიყენება, წევრმა სახელმწიფოებმა ისინი, სულ მცირე, 46-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიებით უნდა უზრუნველყონ.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ დირექტივით გათვალისწინებული სპეციალური პროცედურული გარანტიების მინიჭება მაშინაც მოხდეს, როდესაც ასეთი გარანტიების საჭიროება პროცედურის გვიანდელ ეტაპზე გამოვლინდება. ამისთვის პროცედურის თავიდან დაწყება აუცილებელი არ არის.

მუხლი 25

გარანტიები თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირებისთვის

1. ამ დირექტივით გათვალისწინებული პროცედურებისა და მე-14 და მე-17 მუხლების დარღვევის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

ა) სასწრაფოდ გადადგან ნაბიჯები იმისთვის, რომ თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანს ჰყავდეს წარმომადგენელი, რომელიც მას ამ დირექტივით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობასა და მოვალეობების შესრულებაში დაეხმარება და წარმოადგენს. თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი მისთვის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული. წარმომადგენელმა თავისი მოვალეობები ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით უნდა შეასრულოს და ამისთვის სათანადო ცოდნა უნდა ჰქონდეს. წარმომადგენლის შეცვლა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს. წარმომადგენლად არ უნდა დაინიშნოს პირი ან ორგანიზაცია, რომლის ინტერესი თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის ინტერესს ეწინააღმდეგება. ის შეიძლება ასევე იყოს 2013/33/EU დირექტივით გათვალისწინებული წარმომადგენელიც;

ბ) უზრუნველყონ, რომ წარმომადგენელს ჰქონდეს საშუალება, არასრულწლოვანს პირადი გასაუბრების შინაარსი და მისი შესაძლო შედეგი გააცნოს და, საჭიროების შემთხვევაში, მას პირადი გასაუბრების მომზადებაშიც დაეხმაროს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წარმომადგენელი და/ან სამართლებრივი და სხვა სახის კონსულტანტი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით არის დაშვებული ან ნებადართული, ესწრება გასაუბრებას და, გასაუბრების წამყვანი პირის მიერ დაწესებული დღის წესრიგის ფარგლებში,

კითხვების დასმისა და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა აქვს.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გასაუბრებაზე თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის დასწრება მოითხოვონ, მაშინაც კი, როცა გასაუბრებას მისი წარმომადგენელი ესწრება.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება, თავი შეიკავონ წარმომადგენლის დანიშვნისგან ისეთ შემთხვევაში, როდესაც დიდია ალბათობა იმისა, რომ არასრულწლოვანს 18 წელი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუსრულდება.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

ა) თუ თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანს აქვს პირადი გასაუბრება საერთაშორისო დაცვის შესახებ მის განაცხადთან დაკავშირებით, როგორც ეს მე-14, მე-17 და 34-ე მუხლებშია მოცემული, აღნიშნული გასაუბრება უნდა ჩაატაროს პირმა, რომელსაც არასრულწლოვანთა სპეციალური საჭიროებების ცოდნა აქვს;

ბ) გადაწყვეტილების მიმღები უწყების დასკვნას თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის განაცხადზე არასრულწლოვანთა სპეციალური საჭიროებების მცოდნე მუშაკი ამზადებს.

4. თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი და მისი წარმომადგენელი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ უფასო სამართლებრივი და პროცედურული ინფორმაციით, როგორც ეს მე-19 მუხლშია მოცემული, საერთაშორისო დაცვის გაუქმების პროცედურების მსგავსად, რომელიც მე-4 თავშია განსაზღვრული.

5. წევრმა სახელმწიფოებმა, საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლის ფარგლებში, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის ასაკის დასადგენად შეიძლება სამედიცინო გამოკვლევას მიმართონ, როცა ზოგადი განცხადებების ან სხვა სათანადო მინიშნებების საფუძველზე მათ განმცხადებლის ასაკთან დაკავშირებით ეჭვი უჩნდებათ. თუ წევრ სახელმწიფოებს განმცხადებლის ასაკზე ეჭვი ამის შემდეგაც რჩებათ, მათ ის მაინც არასრულწლოვან პირად უნდა მიიჩნიონ.

ყველა სამედიცინო შემოწმება პირის ღირსების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს, ჰქონდეს ნაკლებად ხელმყოფი ხასიათი და განხორციელდეს კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელიც შეძლებისდაგვარად სანდო შედეგს უზრუნველყოფს.

სამედიცინო შემოწმების დროს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

ა) თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირები, საერთაშორისო დაცვაზე მათი განაცხადის შესწავლამდე და იმ ენაზე, რომელიც ესმით ან არის გონივრული

ვარაუდი, რომ უნდა ესმოდეთ, ინფორმირებულნი იყვნენ იმის თაობაზე, რომ მათი ასაკის განსასაზღვრად შეიძლება სამედიცინო შემოწმება დაინიშნოს. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გამოკვლევის მეთოდის და შესაძლო შედეგის შესახებ, როგორც საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლასთან მიმართებით, ისე - თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის სახელით სამედიცინო გამოკვლევაზე უარის თქმასთან მიმართებით;

ბ) მიღებული იქნეს თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირების და/ან მათი წარმომდგენლების თანხმობა ასაკის დამდგენ სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებით; და,

გ) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა არ იყოს უარყოფილი მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის სახელით სამედიცინო შემოწმებაზე უარია ნათქვამი.

იმ ფაქტმა, რომ თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირი სამედიცინო შემოწმებაზე უარს ამბობს, გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადზე დასკვნის გამოტანაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

6. წევრმა სახელმწიფოებმა ამ დირექტივის შესრულების უმთავრეს პრიორიტეტად ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება უნდა დაისახონ.

როდესაც თავშესაფრის პროცედურების ფარგლებში წევრი სახელმწიფოები პირს თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანად მიიჩნევენ, მათ შეუძლიათ:

ა) 31(8) მუხლის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ:

i) განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანა ამ დირექტივის კონტექსტში უსაფრთხო ქვეყნის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს; ან

ii) განმცხადებელმა საერთაშორისო დაცვის შესახებ ხელახალი განაცხადი შეიტანა, რომელიც მე-40(5) მუხლის თანახმად დაუშვებლად არ მიიჩნევა; ან

iii) განმცხადებელი სერიოზული მოსაზრებების საფუძველზე წევრი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხედ არის მიჩნეული ან იძულებით არის გაძევებული ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის საფუძველით;

ბ) 43-ე მუხლის გამოყენება 2013/33/EU დირექტივის მე-8 და მე-11 მუხლების თანახმად მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, თუ:

i) განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანა ამ დირექტივის კონტექსტში უსაფრთხო

ქვეყნის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს; ან

- ii) განმცხადებელმა საერთაშორისო დაცვის შესახებ ხელახალი განაცხადი შეიტანა; ან
- iii) განმცხადებელი სერიოზული მოსაზრებების საფუძველზე წევრი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხედ არის მიჩნეული ან იძულებით არის გაძევებული ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის საფუძველით;
- iv) არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ არაწევრი სახელმწიფო განმცხადებლისთვის უსაფრთხო მესამე ქვეყანაა 38-ე მუხლის კონტექსტში; ან
- v) განმცხადებელმა ყალბი საბუთების წარდგენით ხელისუფლება შეცდომაში შეიყვანა; ან
- vi) განმცხადებელმა ბოროტი განზრახვით გაანადგურა ან გადაადგო პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო საბუთი, რომელსაც მისი ვინაობის ან მოქალაქეობის დადასტურება შეეძლო.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება პუნქტები (v) და (vi) გამოიყენონ მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ განმცხადებელი ცდილობს ისეთი ელემენტების დამალვას, რომლებიც უარყოფით დასკვნას გამოიწვევს, იმ პირობით, რომ განმცხადებელს მიცემული აქვს ყველა შესაძლებლობა, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის პროცედურული საჭიროებების გათვალისწინებით, რომ ეჩვენებინა საპატიო მიზეზი (v) და (vi) პუნქტებში მოყვანილი ქმედებების მიმართებით, მის წარმომადგენელთან კონსულტაციის ჩათვლით;

გ) სცნონ განაცხადი დაუშვებლად 33-ე მუხლის (2)(გ) პუნქტის საფუძველზე, თუ არაწევრი სახელმწიფო მიჩნეულია უსაფრთხო მესამე ქვეყნად 38-ე მუხლის კონტექსტში, იმ პირობით, რომ ეს არასრულწლოვანის ჭეშმარიტ ინტერესს არ ეწინააღმდეგება;

დ) გამოიყენონ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა, თუ არასრულწლოვანის წარმომადგენელს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად იურიდიული კვალიფიკაცია აქვს.

41-ე მუხლის დარღვევის გარეშე, თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვან პირთა მიმართ 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა, სულ

მცირე, 46-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული გარანტიები უნდა უზრუნველყონ.

მუხლი 26

დაკავება

1. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დააკავონ პირი მხილოდ იმ მიზეზით, რომ ის განმცხადებელია. დაკავების საფუძვლები და პირობები, ისევე, როგორც დაკავებული განმცხადებლის გარანტიები, 2013/33/EU დირექტივას უნდა შეესაბამებოდეს.
2. როდესაც განმცხადებელი დაკავებულია, წევრმა სახელმწიფოებმა 2013/33/EU დირექტივის შესაბამისად სწრაფი სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა უნდა უზრუნველყონ.

მუხლი 27

პროცედურები განაცხადის უკან გატანის შემთხვევაში

1. იმდენად, რამდენადაც წევრი სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით განაცხადის ერთმნიშვნელოვნად გატანის შესაძლებლობას უშვებენ, როდესაც პირს საერთაშორისო დაცვის განაცხადი ერთმნიშვნელოვნად გააქვს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისმა უწყებამ განაცხადის განხილვის შეწყვეტის ან უარის გადაწყვეტილება მიიღოს.
2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ასევე განსაზღვრონ, რომ შესაბამისმა უწყებამ განაცხადის შესწავლა ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების გარეშე შეწყვიტოს. ასეთ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ განმცხადებლის საქმეში შესაბამისი ცნობა შეიტანოს.

მუხლი 28

პროცედურები განაცხადის ირიბი გატანის ან მიტოვებისას

1. როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ განმცხადებელმა საკუთარი განაცხადი ირიბად გაიტანა ან მიატოვა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიმღები უწყება განაცხადის შესწავლის შეწყვეტის ან, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიმღები უწყება მას 2011/95/EU დირექტივის თანახმად ჩატარებული ადეკვატური არსებითი შესწავლის

საფუძველზე დაუსაბუთებლად აღიარებს, მისი უარყოფის თაობაზე შესაბამის ნაბიჯებს დგამს.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ განმცხადებელმა საერთაშორისო დაცვაზე საკუთარი განაცხადი ირიბად გაიტანა ან მიატოვა იმ შემთხვევაში, თუ დაადასტურებენ, რომ:

ა) მან არ მოახდინა რეაგირება განაცხადის შესახებ 2011/95/EU დირექტივის მე-4 მუხლის შესაბამისად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნაზე, ან არ გამოცხადდა პირად გასაუბრებაზე, როგორც ეს ამ დირექტივის მე-14 და მე-17 მუხლებითაა გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გონივრულ ვადებში დაასაბუთებს, რომ ეს მისი კონტროლის მიღმა არსებული ფაქტორებით იყო განპირობებული;

ბ) ის მიიმალა ან ნებართვის გარეშე დატოვა საცხოვრებელი ან ადგილსამყოფელი და კომპეტენტურ უწყებებს გონივრულ ვადებში არ დაუკავშირდა ან ანგარიშვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობები გონივრულ ვადებში არ აღასრულა და არ დაამყარა კომუნკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გონივრულ ვადებში დაასაბუთებს, რომ ეს მისი კონტროლის მიღმა არსებული ფაქტორებით იყო განპირობებული.

ამ დებულებების აღსრულების კონტექსტში, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ ვადებთან დაკავშირებული შეზღუდვები ან გამოსცენ დირექტივები.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თუ განმცხადებელი, რომლის განაცხადის შესწავლა ამ მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად შეწყდა, კვლავ დაუკავშირდება კომპეტენტურ ორგანოებს, მას განაცხადის განახლების ან ახალი განაცხადის შეტანის უფლება ექნება და მე-40 და 41-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცედურებს არ დაექვემდებარება.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ ვადის შეზღუდვები, არაუმეტეს ცხრა თვით, რომლის შემდეგაც განმცხადებლის საქმე არ განახლდება, ახალი განაცხადი კი ხელახალი განაცხადის წესით განიხილება და მე-40 და 41-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცედურებს დაექვემდებარება. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ საქმე მხოლოდ ერთხელ შეიძლება განახლდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირის ქვეყნიდან გაყვანა *გაძევების დაუშვებლობის პრინციპის* დარღვევით არ მოხდება.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას განაცხადის განხილვის განახლების უფლება მისი შეწყვეტის ეტაპიდან მისცეს.

3. ამ მუხლმა ზიანი არ უნდა მიაყენოს (EU) No 604/2013 რეგულაციას.

მუხლი 29

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის როლი

1. წევრმა სახელმწიფოებმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს უნდა დართონ ნება:

ა) ჰქონდეს მისაწვდომობა განმცხადებლებზე, დაკავების ადგილების, სასაზღვრო და სატრანზიტო ზონების ჩათვლით;

ბ) ჰქონდეს წვდომა საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებულ განაცხადებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, როგორც პროცედურების მსვლელობაზე, ასევე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, განმცხადებლის თანხმობის პირობით;

გ) ჟენევის კონვენციის 35-ე მუხლით განსაზღვრული საზედამხედველო პასუხისმგებლობის ფარგლებში, ნებისმიერ კომპეტენტურ უწყებას პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები საერთაშორისო დაცვაზე ინდივიდუალურ განაცხადებთან დაკავშირებით.

2. 1-ელი პუნქტი ძალაშია იმ ორგანიზაციებთან მიმართებით, რომლებიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ქვეყანასთან შეთანხმების საფუძველზე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისთვის მუშაობენ.

მუხლი 30

ინფორმაციის შეგროვება ინდივიდუალურ საქმეებზე

ინდივიდუალური საქმეების შესწავლის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა:

ა) დევნისა და სერიოზული ზიანის სავარაუდო ჩამდენ პირებს საერთაშორისო დაცვის შესახებ ინდივიდუალურ განაცხადებთან დაკავშირებული ინფორმაცია ან განაცხადის გაკეთების ფაქტი არ უნდა გაუმჟღავნონ;

ბ) არ უნდა მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია დევნისა და სერიოზული ზიანის სავარაუდო ჩამდენი პირებისაგან ისე, რომ ეს პირები უშუალოდ იყვნენ ინფორმირებულნი განმცხადებლის მიერ განაცხადის გაკეთების ფაქტზე, რაც განმცხადებლის ან მასზე დამოკიდებული პირების ფიზიკურ ხელშეუხებლობას ან წარმოშობის ქვეყანაში მცხოვრები ოჯახის წევრების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს.

თავი III

პირველი ინსტანციის პროცედურები

ნაწილი I

მუხლი 31

განაცხადის განხილვის პროცედურა

1. წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადები მე-2 თავში მოცემული ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების შესაბამისად უნდა განიხილონ.
2. წევრმა სახელმწიფოებმა განხილვის პროცედურის მაქსიმალურად მოკლე ვადებში, სათანადო და სრული გამოკვლევის საფუძველზე წარმართვა უნდა უზრუნველყონ.
3. წევრმა სახელმწიფოებმა განხილვის პროცედურა განაცხადის შეტანიდან ექვსი თვის ვადაში უნდა დაასრულონ.

როდესაც განაცხადი EU No 604/2013 რეგულაციით გათვალისწინებულ პროცედურებს ექვემდებარება, ექვსთვიანი ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ამავე რეგულაციით მის შესწავლაზე პასუხისმგებელი წევრი ქვეყანა განისაზღვრება, განმცხადებელი ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება და მასზე პასუხისმგებლობა კომპეტენტურ უწყებას აქვს აღებული.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ამ დებულებით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადა კიდევ შემდგომი ცხრა თვით გაზარდონ, როდესაც:

- ა) საქმეში არის რთული ფაქტობრივი და/ან სამართლებრივი საკითხები;
- ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დიდ რაოდენობას საერთაშორისო დაცვაზე განაცხადი ერთდროულად შეაქვს, რაც პროცედურის ექვსთვიან ვადაში დასრულებას პრაქტიკაში ძალიან ართულებს;
- გ) გაჭიანურება აშკარად უკავშირდება განმცხადებლის მიერ მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობას.

გამონაკლისის სახით, წევრ სახელმწიფოებს ამ დებულებით გათვალისწინებული ვადის კიდევ სამი თვით გაგრძელება შეუძლიათ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის სათანადო და სრული განხილვისთვის არის აუცილებელი.

4. 2011/95/EU დირექტივის მე-13 და მე-18 მუხლების დარღვევის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება განხილვის პროცედურა გააგრძელონ, თუ გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას აქვს გონივრული საფუძველი, არ გააკეთოს

დასკვნა მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია წარმოშობის ქვეყანაში არსებული გაურკვეველი სიტუაციით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი ხასიათის არის. ასეთ შემთხვევაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

- ა) ამ წარმოშობის ქვეყანაში სიტუაციის ანალიზი, სულ მცირე, ყოველ ექვს თვეში განახორციელონ;
- ბ) განმცხადებელს საქმის გაჭიანურების მიზეზების შესახებ გონივრულ ვადებში შეატყობინონ;
- გ) კომისიას წარმოშობის ქვეყანასთან მიმართებით პროცედურების გადადების შესახებ გონივრულ ვადებში შეატყობინონ.

5. ნებისმიერ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა განხილვის პროცედურა განაცხადის შეტანიდან 21 თვის ვადაში უნდა დასრულონ.

6. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როდესაც ექვსი თვის ვადაში გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება:

- ა) განმცხადებელი იყოს ინფორმირებული შეფერხების შესახებ; და,
- ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს ინფორმაცია შეფერხების მიზეზებისა და განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო ვადის შესახებ.

7. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება პრიორიტეტი მიანიჭონ საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის შესწავლას, განსაკუთრებით მე-2 თავში გათვალისწინებული ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების თანახმად, როდესაც:

- ა) განაცხადი სავარაუდოდ კარგად არის დასაბუთებული;
- ბ) განმცხადებელი, 2013/33/EU დირექტივის 22-ე მუხლის თანახმად, მოწყვლადი პირია ან სპეციალურ პროცედურულ გარანტიებს საჭიროებს, განსაკუთრებით, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის შემთხვევაში.

8. წევრმა სახელმწიფოებმა, მე-2 თავში გათვალისწინებული ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების თანახმად, შეიძლება დაუშვან განხილვის პროცესის დაჩქარება და/ან, 43-ე მუხლის თანახმად, მისი ჩატარება საზღვართან ან სატრანზიტო ზონებში, თუ:

- ა) განაცხადის შეტანის და ფაქტების წარდგენის დროს განმცხადებელი წარმოაჩინოს ისეთ საკითხებს, რომლებიც 2011/95/EU დირექტივის კონტექსტში საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის შესწავლასთან მიმართებით აქტუალური არ არის; ან,

- ბ) განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანა ამ დირექტივის თანახმად უსაფრთხოდ აღიარებულია; ან,
- გ) განმცხადებელმა შეცდომაში შეიყვანა ხელისუფლება მცდარი ინფორმაციის ან საბუთების წარდგენით, ან ისეთი ინფორმაციისა და საბუთების დამალვის გზით, რაც მის იდენტობას და/ან მოქალაქეობას ადასტურებს და მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს; ან,
- დ) განმცხადებელმა, დიდი ალბათობით, ბოროტი განზრახვით გაანადგურა ან გადაადგო პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო საბუთი, რომელსაც მისი ვინაობის ან მოქალაქეობის დადასტურება შეეძლო; ან,
- ე) განმცხადებელმა გააკეთა აშკარად შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი, აშკარად ყალბი ან შეუძლებელი წარდგინებები, რაც ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის შესახებ უკვე დადასტურებულ ინფორმაციას, რითაც მისი განაცხადი არადამაჯერებელი ხდება იმისათვის, რომ იგი გახდეს საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი 2011/95/EU დირექტივის საფუძველზე; ან,
- ვ) განმცხადებელმა საერთაშორისო დაცვის შესახებ ხელახალი განაცხადი შეიტანა, რომელიც მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაუშვებელი არ არის; ან,
- ზ) განმცხადებელი აკეთებს განაცხადს მხოლოდ იმ მოტივით, რომ გააჭიანუროს ან შეაჩეროს მანამდე მიღებული ან მოსალოდნელი გადაწყვეტილება, რაც მის გაბრუნებას გამოიწვევს; ან,
- თ) განმცხადებელი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ შევიდა ან ყოფნა უკანონოდ გაიხანგრძლივა და, საპატიო მიზეზის გარეშე, ხელისუფლების წინაშე არ წარსდგა ან საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადი დროულად არ შეიტანა; ან,
- ი) განმცხადებელმა უარი თქვა თითების ანაბეჭდების მიცემაზე, რაც ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის (EU) No 603/2013 რეგულაციის თანახმად, მის მოვალეობას წარმოადგენს (ამ რეგულაციით დაფუძნდა Eurodac, რომლის მიზანიც იყო (EU) No604/2013 რეგულაციის ქმედითი აღსრულება. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს იმ წევრი სახელმწიფოს შერჩევის კრიტერიუმებსა და მექანიზმებს, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განაცხადის შესწავლაზეა პასუხისმგებელი) და წევრი ქვეყნების სამართალდამცველი უწყებებისა და ევროპოლის მიერ სამართალდაცვის მიზნით Eurodac-თან მონაცემების შედარების მოთხოვნაზე⁽¹²⁾; ან,

კ) სერიოზული მოსაზრებების საფუძველზე, განმცხადებელი წევრი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხედ არის მიჩნეული ან იძულებით არის გაძევებული საზოგადოებრივი უსაფრთხოებასთან ან საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სერიოზული მიზეზებით, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

9. წევრმა სახელმწიფოებმა, მე-8 პუნქტის შესაბამისად, პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილების მიღებაზე გონივრული ვადები უნდა დააწესონ.

მე-3 და მე-5 პუნქტების დარღვევის გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ ვადების გახანგრძლივება, თუ ეს საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის სათანადო და სრულფასოვანი შესწავლისათვის არის აუცილებელი.

მუხლი 32

დაუსაბუთებელი განაცხადები

1. 27-ე მუხლის დარღვევის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადი დაუსაბუთებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიჩნიონ, თუ გადაწყვეტილების მიმღები უწყება დაადგენს, რომ განმცხადებელი 2011/95/EU დირექტივით დადგენილ საერთაშორისო დაცვის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს.

2. ის დაუსაბუთებელი განაცხადები, რომლებსაც 31-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოება შეესაბამება, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ცალსახად დაუსაბუთებლად მიიჩნიონ, თუ ეს ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

ნაწილი II

მუხლი 33

დაუშვებელი განაცხადები

1. იმ საქმეების გარდა, სადაც განაცხადის განხილვა არ ხდება (EU) No 604/2013 რეგულაციის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ განიხილონ განმცხადებელი საერთაშორისო დაცვის სტანდარტებს 2011/95/EU დირექტივის ფარგლებში აკმაყოფილებს თუ არა იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ამ მუხლის მიხედვით დაუშვებლად არის მიჩნეული.

2. წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადი დაუშვებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიჩნიონ, თუ:

- ა) საერთაშორისო დაცვა სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ არის მინიჭებული;
- ბ) არაწევრი სახელმწიფო, 35-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლისთვის თავშესაფრის პირველ ქვეყნად არის მიჩნეული;
- გ) არაწევრი სახელმწიფო, 38-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლისთვის უსაფრთხო მესამე ქვეყნად არის მიჩნეული;
- დ) განაცხადი წარმოადგენს ხელახალ განაცხადს, რომელშიც საერთაშორისო დაცვის კრიტერიუმების დაკმაყოფილების მხრივ განმცხადებლის მიერ ახალი ელემენტები ან დასკვნები წარმოდგენილი არ არის; ან,
- ე) განაცხადი შეტანილია განმცხადებელზე დამოკიდებული პირის მიერ, მას შემდეგ, რაც მან, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მისი სახელით განაცხადის შეტანაზე თანხმობა განაცხადა და მის სიტუაციაში არ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც ცალკე განაცხადის საჭიროებაზე მიუთითებს.

მუხლი 34

დაშვების შესახებ გასაუბრების სპეციალური წესები

1. საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის 33-ე მუხლის საფუძველზე დარეგისტრირებისას, შესაბამისი უწყების მიერ მისი დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებელს მისი გარემოებების თაობაზე მოსაზრებების წარმოდგენის საშუალება უნდა მისცენ. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა, განაცხადის დაშვების განსასაზღვრად პირადი გასაუბრება უნდა ჩატარონ. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ 42-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც საქმე ხელახალ განაცხადს ეხება.

ამ პუნქტმა ზიანი არ უნდა მიაყენოს ამავე დირექტივის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და (EU) No 604/2013 რეგულაციის მე-5 მუხლს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება საერთაშორისო დაცვის განაცხადის დაშვების განსასაზღვრად გასაუბრების ჩატარება სხვა უწყების პერსონალს და არა - გადაწყვეტილების მიმღები უწყების თანამშრომლებს დაავალონ. ასეთ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს პერსონალი ძირითად სწავლებას წინასწარ გაივლის, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, თავშესაფრის ნორმატიული ბაზისა და გასაუბრების ჩატარების ტექნიკის სფეროებში.

ნაწილი III

მუხლი 35

თავშესაფრის პირველი ქვეყნის კონცეფცია

კონკრეტული ქვეყანა განმცხადებლისთვის შეიძლება მიჩნეული იქნეს თავშესაფრის პირველ ქვეყანად, თუ:

- ა) ის ამ ქვეყანაში ლტოლვილად არის აღიარებული და დაცვა კვლავ ქმედითია; ან,
- ბ) ის ამ ქვეყანაში საკმარისად არის დაცული სხვა მექანიზმებით, *გაძვეების დაუშვებლობის* პრინციპის ჩათვლით,

იმ პირობით, რომ ამ ქვეყანაში მისი რეადმისია განხორციელდება.

განმცხადებლის კონკრეტული გარემოებების კონტექსტში თავშესაფრის პირველი ქვეყნის კონცეფციის გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტი გაითვალისწინონ. განმცხადებელს, მისი კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, თავშესაფრის პირველი ქვეყნის კონცეფციის გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

მუხლი 36

წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნის კონცეფცია

1. ამ დირექტივის ფარგლებში წარმოშობის უსაფრთხო ქვეყანად დადგენილი მესამე ქვეყანა კონკრეტული განმცხადებლისთვის, განაცხადის ინდივიდუალურად შესწავლის შემდეგ, უსაფრთხოდ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი:

- (ა) აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეა; ან,
- (ბ) მოქალაქეობის არმქონე პირია და მოცემული ქვეყანა მისთვის ადრინდელი საცხოვრებელი ადგილი იყო,

და მას არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი სერიოზული მტკიცებულებები, რომ ეს ქვეყანა მისთვის მისი კონკრეტული გარემოებების კონტექსტში ან 2011/95/EU დირექტივის შესაბამისად მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების თვალსაზრისით უსაფრთხო არ არის.

2. წევრ სახელმწიფოებს ეროვნულ კანონმდებლობაში უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის კონცეფციის გამოყენების დამატებითი წესებისა და რეგულაციების განსაზღვრა შეუძლიათ.

მუხლი 37

მესამე სახელმწიფოების უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნებად განსაზღვრა

1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეინარჩუნონ ან შემოიღონ კანონმდებლობა, რომელიც, 1-ელი დანართის შესაბამისად, საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადების შესწავლის მიზნით უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრას ითვალისწინებს.
2. წევრი სახელმწიფოები ამ მუხლის შესაბამისად უსაფრთხოდ მიჩნეულ მესამე ქვეყნებში სიტუაციას რეგულარულად უნდა დააკვირდნენ.
3. წინამდებარე მუხლის კონტექსტში ამა თუ იმ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხის დადგენა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს, მათ შორის, განსაკუთრებით, სხვა წევრი სახელმწიფოებიდან, EASO-დან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიტიდან, ევროპის საბჭოსა და სხვა სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.
4. ამ მუხლის თანახმად განსაზღვრული უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების შესახებ წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ.

მუხლი 38

უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფცია

1. წევრ სახელმწიფოებს უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფციის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ კომპეტენტური უწყებები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო დაცვის მაძიებელ პირს მესამე ქვეყანაში შემდეგი პრინციპების დაცვით მოეპყრობიან:
 - ა) მის სიცოცხლესა და თავისუფლებას რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე საფრთხე არ დაემუქრება;
 - ბ) არ არსებობს სერიოზული ზიანის რისკი, როგორც ეს 2011/95/EU დირექტივაშია განსაზღვრული;
 - გ) დაცულია *გაძევების დაუშვებლობის* პრინციპი, ჟენევის კონვენციის შესაბამისად;
 - დ) აღიარებულია საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული უფლება, რომელიც წამებისა და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან დაცვის უფლების დარღვევით ადამიანის გაძევებას კრძალავს; და,
 - ე) არსებობს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის შესაძლებლობა და, ლტოლვილად

აღიარების შემთხვევაში, პირი ჟენევის კონვენციის მიხედვით დაცვის გარანტიებს იღებს.

2. უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფციის გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული წესები, მათ შორის:

ა) წესები, რომლებიც მესამე ქვეყანასთან განმცხადებლის კავშირის დადგენას მოითხოვს და რომელთა საფუძველზე ამ პირისთვის შესაბამის ქვეყანაში წასვლა გონივრული იქნება;

ბ) მეთოდოლოგია, რომლითაც კომპეტენტური უწყებები კონკრეტული ქვეყნის ან კონკრეტული განმცხადებლის კონტექსტში უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფციის გამოყენებას განსაზღვრავენ. ეს მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხის განსაზღვრას კონკრეტული საქმეების საფუძველზე და კონკრეტული განმცხადებლის კონტექსტში და/ან ეროვნულ დონეზე ზოგადად უსაფრთხო ქვეყნების დადგენას;

გ) საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესები, რომლებიც კონკრეტული განმცხადებლისთვის ისეთი მესამე ქვეყნის უსაფრთხოების საკითხის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, სადაც მოცემულ განმცხადებელს შესაძლებლობა ექნება, სულ მცირე, გაასაჩივროს უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფციის გამოყენება იმ საფუძველით, რომ მოცემული მესამე ქვეყანა მისი კონკრეტული გარემოებებისთვის უსაფრთხო არ არის. განმცხადებელს ასევე უნდა შეეძლოს, „ა“ პუნქტის შესაბამისად, მასა და მოცემულ მესამე ქვეყანას შორის კავშირის არსებობა გაასაჩივროს.

3. უშუალოდ ამ მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებისას, წევრმა სახელმწიფოებმა:

ა) განმცხადებელს სათანადო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ; და,

ბ) ის უზრუნველყონ ისეთი საბუთით, რომელიც მესამე ქვეყნის ხელისუფლებას მის ენაზე შეატყობინებს, რომ განაცხადი არსებითად არ განხილულა.

4. როდესაც მესამე ქვეყანა განმცხადებელს თავის ტერიტორიაზე არ უშვებს, წევრმა სახელმწიფოებმა მე-2 თავში აღწერილი ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების შესაბამის პროცედურებზე მისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ.

5. წევრმა სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა აცნობონ კომისიას იმ ქვეყნების შესახებ, რომელთა მიმართაც უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფცია გამოიყენება.

მუხლი 39

უსაფრთხო ევროპული მესამე ქვეყნის კონცეფცია

1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადი და, განმცხადებლის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მისი უსაფრთხოების საკითხი, როგორც ეს მე-2 თავშია აღწერილი, არ განიხილონ ან არასრულად განიხილონ, თუ კომპეტენტური უწყება ფაქტების საფუძველზე დაადგენს, რომ განმცხადებელი ცდილობს, უკანონოდ შეაღწიოს ან უკვე შეაღწია მათ ტერიტორიაზე მე-2 პუნქტის შესაბამისი უსაფრთხო მესამე ქვეყნიდან.
2. მესამე ქვეყანა 1-ელი პუნქტის კონტექსტში მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ, თუ:
 - ა) მას რატიფიცირებული აქვს და იცავს ჟენევის კონვენციას გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე;
 - ბ) აქვს თავშესაფრის ქმედითი პროცედურები, რომლებიც კანონმდებლობით არის დადგენილი; და,
 - გ) რატიფიცირებული აქვს და იცავს ევროპულ კონვენციას ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ, ეფექტური გასაჩივრების სტანდარტების ჩათვლით.
3. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უსაფრთხო ევროპული მესამე ქვეყნის კონცეფციის გასაჩივრების უფლება იმის საფუძველზე, რომ ქვეყანა მის კონკრეტულ სიტუაციაში უსაფრთხო არ არის.
4. მოცემულმა წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა ჩამოაყალიბონ 1-ელი პუნქტის განხორციელებისთვის საჭირო დებულებები და განსაზღვრონ ამ დებულებათა საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები, *გაძევების დაუშვებლობის* პრინციპის დაცვით, მათ შორის, ამ მუხლის გამოყენებისას დაშვებული გამონაკლისები ჰუმანიტარული ან პოლიტიკური მიზეზებით, ან საჯარო საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე მიზეზებით.
5. უშუალოდ ამ მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას, წევრმა სახელმწიფოებმა:
 - ა) განმცხადებელს სათანადო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ; და,
 - ბ) უზრუნველყონ იგი ისეთი საბუთით, რომელიც მესამე ქვეყნის ხელისუფლებას მის ენაზე შეატყობინებს, რომ განაცხადი არსებითად არ განხილულა.

6. როდესაც უსაფრთხო მესამე ქვეყანა განმცხადებლის რეადმისიას არ უშვებს, წევრმა სახელმწიფოებმა მე-2 თავში აღწერილი ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების შესაბამის პროცედურებზე დაშვება უნდა უზრუნველყონ.

7. წევრმა სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა აცნობონ კომისიას იმ ქვეყნების შესახებ, რომელთა მიმართაც ეს მუხლი გამოიყენება.

ნაწილი IV

მუხლი 40

ხელახალი განაცხადი

1. როდესაც პირი, რომელსაც საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადი წევრ სახელმწიფოში უკვე აქვს შეტანილი, იმავე სახელმწიფოში შემდგომ წარმომადგენლობას ახორციელებს ან ხელახალი განაცხადი შეაქვს, წევრმა სახელმწიფომ ეს შემდგომი წარმომადგენლობა ან ხელახალი განაცხადის ელემენტები ადრინდელი განაცხადის განხილვის ფარგლებში ან მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის ან აპელაციის ფარგლებში უნდა განიხილოს, რამდენადაც კომპეტენტურ უწყებებს ამ რეჟიმში დამატებითი წარმომადგენლობის ან ხელახალი განაცხადის ელემენტების გათვალისწინება და განხილვა შეუძლიათ.

2. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის დაშვებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ხელახალი განაცხადი წინასწარ განხილვას უნდა დაექვემდებაროს, რათა დადგინდეს, არის თუ არა განმცხადებლის მიერ ისეთი ახალი ელემენტები ან დასკვნები წარმოდგენილი, რომლებიც მის მიერ 2011/95/EU დირექტივის ფარგლებში საერთაშორისო დაცვის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას უკავშირდება;

3. თუ მე-2 პუნქტში მოცემული წინასწარი შესწავლის შედეგად დადგინდება, რომ განმცხადებლის მიერ ისეთი ახალი ელემენტები ან მიგნებებია წარმოდგენილი, რომლებიც მის მიერ 2011/95/EU დირექტივის ფარგლებში საერთაშორისო დაცვის კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული, განაცხადი მე-2 თავის მოთხოვნებთან შესაბამისობის მხრივ დამატებით უნდა იქნეს განხილული. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ხელახალი განაცხადი სხვა მიზეზების საფუძველზეც განიხილონ.

4. წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადის შემდგომი განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყონ, თუ განმცხადებელმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა წინა პროცედურის დროს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით

გათვალისწინებული სიტუაციების დადასტურება, განსაკუთრებით, 46-ე მუხლში მოცემული ეფექტური გასაჩივრების ნაწილში.

5. თუ ამ მუხლის კონტექსტში ხელახალი განაცხადის დამატებითი განხილვა არ ხდება, ის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა შეიძლება ძალაში იყოს იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება:

ა) დამოკიდებულ პირს, რომელიც მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად აკეთებს განაცხადს, თანხმობა აქვს მიცემული მისი სახელით განაცხადის შეტანაზე; და/ან,

ბ) ქორწინებაში არმყოფ არასრულწლოვან პირს, რომელსაც განაცხადი მას შემდეგ შეაქვს, რაც მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი სახელით განაცხადი მანამდე იყო შეტანილი.

ასეთ შემთხვევებში მე-2 პუნქტში მითითებული წინასწარი განხილვისას შესწავლილი უნდა იყოს ყველა ისეთი ფაქტი, რომელიც დამოკიდებული პირის ან დაუქორწინებელი არასრულწლოვანის მიერ განაცხადის ცალკე გაკეთებას დაასაბუთებს.

7. თუ პირმა, რომლის მიმართაც (EU) No 604/2013 რეგულაციის თანახმად გადაცემის გადაწყვეტილება უნდა აღსრულებულყო, დამატებითი წარმომადგენლობა ან ხელახალი განაცხადი გააკეთა წევრ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას ახდენს, ეს წარმომადგენლობა ან ხელახალი განაცხადი პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ, ამ დირექტივის შესაბამისად უნდა განიხილოს, როგორც ზემოაღნიშნულ რეგულაციაშია განსაზღვრული.

მუხლი 41

დარჩენის უფლების გაუქმება ხელახალი განაცხადისას

1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გააუქმონ მათ ტერიტორიაზე დარჩენის უფლება იმ შემთხვევაში, თუ პირმა:

ა) შეიტანა პირველი ხელახალი განაცხადი, რომლის შემდგომი შესწავლა მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად არ მომხდარა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოეწვია გადაწყვეტილების აღსრულების დაგვიანება ან ხელშეშლა, რომელიც გამოიწვევდა მის გარდაუვალ გაძევებას მოცემული წევრი სახელმწიფოდან; ან,

ბ) აკეთებს კიდევ ერთ ხელახალ განაცხადს იმავე წევრ სახელმწიფოში მას შემდეგ,

რაც პირველი ხელახალი განაცხადი მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ან მას შემდეგ, რაც მის განაცხადზე საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის მიზეზით არის გამოტანილი.

წევრმა სახელმწიფოებმა ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღონ, თუ გადაწყვეტილების მიმღები უწყება დაადგენს, რომ პირის გაძევება არ გამოიწვევს წევრი სახელმწიფოს მიერ *გაძევების დაუშვებლობის* პრინციპის პირდაპირ ან ირიბ დარღვევას, რაც მის მიერ აღიარებულ საერთაშორისო და საკავშირო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.

2. 1-ელ პუნქტში მოცემულ შემთხვევებში წევრმა სახელმწიფოებმა ასევე შეიძლება:

ა) გადაუხვიონ დაჩქარებული პროცედურებისთვის ჩვეულებრივად განსაზღვრულ ვადებს ეროვნული კანონმდებლობის დაცვით, როდესაც პროცედურა 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ პუნქტის შესაბამისად არის დაჩქარებული;

ბ) გადაუხვიონ 33-ე და 34-ე მუხლებში მოცემული დაშვების პროცედურებისთვის ჩვეულებრივად განსაზღვრულ ვადებს ეროვნული კანონმდებლობის დაცვით; და/ან,

გ) გადაუხვიონ 46-ე მუხლის მე-8 პუნქტიდან.

მუხლი 42

პროცედურული წესები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ პირებმა, რომელთა განაცხადი, მე-40 მუხლის თანახმად, წინასწარი განხილვის სტადიაზე, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის გარანტიებით ისარგებლონ.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება თავიანთ კანონმდებლობაში ჩართონ მე-40 მუხლით გათვალისწინებული წინასწარი განხილვის წესები. ეს წესები, მათ შორის, შეიძლება:

ა) განმცხადებელს ახალი პროცედურის დასასაბუთებლად ფაქტებისა და არსებითი მტკიცებულებების წარმოდგენას ავალდებულებდეს;

ბ) საშუალებას იძლეოდეს, რომ წინასწარი შესწავლა მხოლოდ წერილობითი განცხადების საფუძველზე, პირადი გასაუბრების გარეშე ჩატარდეს, გარდა მე-40 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამ წესებმა განმცხადებელს ახალ პროცედურებზე ხელმისაწვდომობა არ უნდა შეუზღუდოს და აღუკვეთოს.

3. წევრმა სახელმწიფოებმა წინასწარი განხილვის შედეგის თაობაზე განმცხადებლის სათანადო ინფორმირება უნდა უზრუნველყონ, საქმის განხილვაზე უარის შემთხვევაში კი - ამის მიზეზები განუმარტონ და აპელაციის ან გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობის შესახებ შეატყობინონ.

ნაწილი V

მუხლი 43

სასაზღვრო პროცედურები

1. წევრმა სახელმწიფოებმა, მე-2 თავის ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების თანახმად, საზღვარზე და სატრანზიტო ზონებში პროცედურები შეიძლება შემდეგ საკითხებზე შემოიღონ:

ა) ამ ადგილებში განაცხადის გაკეთების დაშვება 33-ე მუხლის შესაბამისად; და/ან,

ბ) განაცხადის შინაარსი 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის პროცედურის შესაბამისად.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 1-ელ პუნქტში მოცემული პროცედურის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება გონივრულ ვადებში მოხდეს. თუ გადაწყვეტილება ოთხი კვირის განმავლობაში არ არის მიღებული, განმცხადებელს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა უნდა მიეცეს, რათა მისი განაცხადი ამ დირექტივის სხვა ნორმების მიხედვით იქნეს განხილული.

3. მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების დიდი რაოდენობის ჩამოსვლის შემთხვევაში, რომლებიც საზღვარზე ან სატრანზიტო ზონაში საერთაშორისო დაცვაზე განაცხადს ერთდროულად აკეთებენ, რაც 1-ელ პუნქტში მოცემული ვადების დაცვას პრაქტიკაში შეუძლებელს ხდის, ამ პროცედურების გამოყენება ასევე შეიძლება მას შემდეგ, რაც მოხდება მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ნორმალურად განთავსება საზღვართან ან სატრანზიტო ზონებთან ახლოს მდებარე ადგილებში.

თავი IV

საერთაშორისო დაცვის გაუქმების პროცედურები

მუხლი 44

საერთაშორისო დაცვის გაუქმება

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კონკრეტული პირის საერთაშორისო დაცვის გაუქმების საკითხის შესწავლა დაიწყოს მაშინ, როდესაც საქმეში ჩნდება ახალი ელემენტები ან დასკვნები, რომლებიც საერთაშორისო დაცვის გადახედვისათვის საკმარის მიზეზს წარმოადგენს.

მუხლი 45

პროცედურული წესები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როცა მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საერთაშორისო დაცვის გაუქმებას კომპეტენტური უწყება 2011/95/EU დირექტივის მე-14 ან მე-19 მუხლების საფუძველზე განიხილავს, მან ისარგებლოს შემდეგი გარანტიებით:

ა) წერილობით აცნობონ, რომ კომპეტენტური უწყება განიხილავს მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხს და ასევე აცნობონ ასეთი ხელახალი განხილვის მიზეზები; და,

ბ) მიეცეს შესაძლებლობა, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 - მე-17 მუხლების თანახმად, პირადი გასაუბრების ან წერილობითი განცხადების მეშვეობით ჩამოაყალიბოს მიზეზები, თუ რატომ არ უნდა მოხდეს მისთვის საერთაშორისო დაცვის გაუქმება.

2. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა 1-ელ პუნქტში მოცემული პროცედურის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ, რომ:

ა) კომპეტენტურ უწყებას შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან მიიღოს ზუსტი და უახლესი ინფორმაცია პირის წარმოშობის ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციის შესახებ, როგორცაა, მაგალითად, ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი; და,

ბ) როდესაც ინდივიდუალურ საქმეზე ინფორმაციის შეგროვება საერთაშორისო დაცვის საკითხის გადასინჯვის მიზნით მიმდინარეობს, მისი მიღება არ ხდება დევნის ან სერიოზული ზიანის სავარაუდო ჩამდენი პირებისაგან ისე, რომ ეს პირები უშუალოდ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ იმ პირის სტატუსი, რომელიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობს, გადახედვის სტადიაშია ან ისე, რომ მისი ან მასზე დამოკიდებული პირების ფიზიკურ ხელშეუხებლობას ან წარმოშობის ქვეყანაში მცხოვრები ოჯახის წევრების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნას.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვის გაუქმებაზე კომპეტენტური უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით იქნეს გაცემული. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი და ფაქტობრივი მიზეზები, ასევე, ინფორმაცია გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, წერილობით უნდა იქნეს მიწოდებული.

4. როგორც კი კომპეტენტური უწყება საერთაშორისო დაცვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, ანალოგიურად გამოიყენება მე-20 და 22-ე მუხლები, 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 29-ე მუხლი.

5. ამ მუხლის 1-4 პუნქტებიდან გადახვევის მეშვეობით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ პირის საერთაშორისო დაცვა ავტომატურად უქმდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამაზე უარს თვითონ განაცხადებს. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება ასევე დაადგინოს, რომ საერთაშორისო დაცვა ასევე ავტომატურად უქმდება მისი ბენეფიციარის მიერ ამ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაშიც.

თავი V

გასაჩივრების პროცედურები

მუხლი 46

ეფექტური გასაჩივრების უფლება

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ განმცხადებლებს ჰქონდეთ სასამართლოში ან ტრიბუნალში ეფექტური გასაჩივრების უფლება შემდეგ საკითხებთან/დოკუმენტებთან დაკავშირებით:

ა) მათი საერთაშორისო დაცვის შესახებ მიღებული დასკვნა, მათ შორის, გადაწყვეტილების, რომლის თანახმადაც:

- i) ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის შესახებ განაცხადი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული;
- ii) განაცხადი დაუშვებლად იქნა მიჩნეული 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;
- iii) გადაწყვეტილება მიღებულია წევრი სახელმწიფოს საზღვარზე ან სატრანზიტო ზონაში, 43-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად;
- iv) განცხადება განხილული არ არის, 39-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) განაცხადის განხილვის პროცედურის შეწყვეტის შემდეგ მის ხელახალ განხილვაზე უარის თქმა 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად;

გ) საერთაშორისო დაცვის გაუქმება, 45-ე მუხლის შესაბამისად.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებსაც, გადაწყვეტილების მიმღები უწყების თანახმად, დამატებითი დაცვა ეკუთვნით, ჰქონდეთ გასაჩივრების ეფექტური უფლება 1-ელი პუნქტის შესაბამისად იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც მათ ლტოლვილის სტატუსზე უარი ეთქვათ.

1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე, როდესაც წევრი სახელმწიფოს მიერ მინიჭებული დამატებითი დაცვის სტატუსი, ევროპის კავშირის და ეროვნული კანონმდებლობით, იმავე უფლებებსა და შეღავათებს ითვალისწინებს, რომელსაც ლტოლვილის სტატუსი, წევრმა სახელმწიფომ ლტოლვილის სტატუსზე უარის თქმის გასაჩივრება შეიძლება დაუშვებლად მიიჩნიოს იმის საფუძველზე, რომ განმცხადებელს პროცესის გაგრძელების არასაკმარისი ინტერესი აქვს.

3. 1-ელი პუნქტის შესასრულებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეფექტური გასაჩივრების უფლება მოიცავს როგორც ფაქტების, ასევე სამართლებრივი ნორმების სრულ და სამომავლო განხილვას, მათ შორის, 2011/95/EU დირექტივის შესაბამისად საერთაშორისო დაცვის საჭიროებების შესწავლას, სულ მცირე, პირველი ინსტანციის სასამართლოში ან ტრიბუნალში მიმდინარე სააპელაციო პროცედურებისას.

4. წევრმა სახელმწიფოებმა, განმცხადებლისთვის 1-ელი პუნქტის კონტექსტში ეფექტური გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფისას, გონივრული ვადები უნდა დააწესონ და სხვა აუცილებელი წესები შემოიღონ. ვადები ამ უფლების განხორციელებას შეუძლებელს არ უნდა ხდიდეს და არც ზედმეტად ართულებდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება 43-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების თანამდებობის მიხედვით განხილვაც უზრუნველყონ.

5. მე-6 პუნქტის დარღვევის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებელს ეფექტურ გასაჩივრებაზე დაწესებული ვადის ამოწურვამდე, ხოლო თუ ეს უფლება შესაბამის ვადაში არის გამოყენებული - გასაჩივრების პროცესის დასრულებამდე, მათ ტერიტორიაზე ყოფნის უფლება უნდა მისცენ.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად:

ა) განაცხადი, 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აშკარად დაუსაბუთებლად

არის მიჩნეული ან, 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დაუსაბუთებლად არის მიჩნეული განხილვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადაწყვეტილება 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში მოცემულ გარემოებებს ეფუძნება;

ბ) განაცხადი დაუსაბუთებლად არის მიჩნეული 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ ან „დ“ პუნქტების შესაბამისად;

გ) განმცხადებელს უარი ეთქვა შეწყვეტილი საქმის ხელახალ განხილვაზე 28-ე მუხლის შესაბამისად; ან,

დ) განაცხადი არ არის შესწავლილი ან სრულად არ არის შესწავლილი 39-ე მუხლის შესაბამისად,

სასამართლოს ან ტრიბუნალს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა განმცხადებელს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე ან თანამდებობის მიხედვით, თუ ამ გადაწყვეტილებით განმცხადებელს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება უწყდება და იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრების დასრულებამდე დარჩენის უფლებას ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

7. მე-6 პუნქტი 43-ე მუხლის პროცედურებში გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ:

ა) განმცხადებელი უზრუნველყოფილია აუცილებელი თარგმანით, სამართლებრივი დახმარებითა და, სულ მცირე, ერთგვირიანი ვადით სარჩელის მოსამზადებლად და სასამართლოს ან ტრიბუნალში მისი არგუმენტების წარსადგენად იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მიეცეს ქვეყანაში დარჩენის უფლება გასაჩივრების პროცესის დასრულებამდე; და,

ბ) მე-6 პუნქტში მითითებული სარჩელის განხილვისას სასამართლო ან ტრიბუნალი გადაწყვეტილების მიმღები უწყების მიერ გამოტანილ უარყოფით დასკვნას ფაქტებისა და კანონების კონტექსტში შეისწავლის;

თუ „ა“ და „ბ“ პუნქტებში მოცემული პირობები დაცული არ არის, მოქმედებს მე-5 პუნქტი.

8. წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებელს მე-6 და მე-7 პუნქტებში მოცემული პროცედურების დასრულებამდე თავიანთ ტერიტორიაზე ყოფნის უფლება უნდა მისცენ.

9. მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებმა არ უნდა დაარღვიონ (EU) No 604/2013 რეგულაციის 26-ე მუხლი.

10. 1-ელი პუნქტის შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა სასამართლოსა და ტრიბუნალს გადაწყვეტილების მიმღები უწყების დასკვნის განსახილველად შეიძლება დროითი შეზღუდვები დაუწესონ.

11. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე შეიძლება, თავიანთ კანონმდებლობაში ჩართონ წესები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება არსებობდეს ვარაუდი, რომ განმცხადებელმა ირიბად გაიტანა ან მიატოვა სარჩელი 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ასევე კანონმდებლობით შეიძლება გათვალსიწინებული იქნეს წესები შემდგომი პროცედურის შესახებ.

თავი VI

ზოგადი და საბოლოო დებულებები

მუხლი 47

საჯარო უწყებების მიერ გასაჩივრება

წინამდებარე დირექტივა ზემოქმედებას არ ახდენს საჯარო უწყებების შესაძლებლობაზე, გაასაჩივრონ ადმინისტრაციული და/ან სამართლებრივი გადაწყვეტილებები, როგორც ეს ეროვნული კანონმდებლობით არის დადგენილი.

მუხლი 48

კონფიდენციალობა

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ დირექტივის აღმასრულებელმა უწყებებმა მათ მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციასთან მიმართებით, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, კონფიდენციალობის პრინციპები დაიცვან.

მუხლი 49

თანამშრომლობა

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ეროვნულ დონეზე კონტაქტის განმახორციელებელი სუბიექტი და კომისიას მისი საკონტაქტო ინფორმაცია შეატყობინოს. კომისიამ ეს ინფორმაცია სხვა წევრ სახელმწიფოებს უნდა გაუზიაროს.

წევრმა სახელმწიფოებმა, კომისიასთან თანამშრომლობით, პირდაპირი კომუნიკაციის დასამყარებლად და კომპეტენტურ უწყებებს შორის ინფორმაციის გასაცვლელად სათანადო ზომები უნდა მიიღონ.

მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით, მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტითა და 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომების გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას ამ გამონაკლისი ზომების გამოყენების მიზეზების ამოწურვის შესახებ, სულ მცირე, ყოველწლიურად მაინც უნდა შეატყობინონ. ეს ინფორმაცია, შეძლებისგვარად, უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმ განაცხადების პროცენტული წილის შესახებ, რომელთა მიმართაც გამოყენებულია გადახვევის პრინციპი, ისევე როგორც შესაბამის პერიოდში შესწავლილი განაცხადების ჯამური რაოდენობა.

მუხლი 50

ანგარიშგება

არაუგვიანეს 2017 წლის 20 ივლისისა, კომისიამ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ დირექტივის გამოყენების შესახებ ანგარიში და, აუცილებლობის შემთხვევაში, საჭირო ცვლილებები უნდა წარუდგინოს. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას ამ ანგარიშის შესადგენად საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ამის შემდეგ, კომისიამ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ დირექტივის გამოყენების შესახებ ანგარიში, სულ მცირე, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა წარუდგინოს.

პირველი ანგარიშის ფარგლებში, კომისიამ განსაკუთრებით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მე-17 მუხლის გამოყენებისა და იმ სხვადასხვა ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც პირად გასაუბრებზე ანგარიშების შედგენისას იყო გამოყენებული.

მუხლი 51

ტრანსპოზიცია

1. არაუგვიანეს 2015 წლის 20 ივლისისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამოქმედონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც საჭიროა 1-ელი - 30-ე მუხლების, 31-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და მე-6 - მე-9 პუნქტების, 32-ე - 46-ე მუხლების, 49-ე - 50-ე მუხლებისა და 1-ელი დანართის შესასრულებლად და შესაბამისი ტექსტები კომისიას მიაწოდონ.

2. არაუგვიანეს 2018 წლის 20 ივლისისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ამოქმედონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც 31-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესასრულებლად არის საჭირო და შესაბამისი ტექსტები კომისიას მიაწოდონ.

3. როდესაც წევრი სახელმწიფო 1-ელი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ აქტს იღებს, ის უნდა შეიცავდეს მითითებას ამ დირექტივაზე ან, მისი ოფიციალური გამოცემის შემთხვევაში, ეს მითითება თანდართული უნდა ჰქონდეს. ის ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას არსებულ კანონებზე, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ ნორმებზე, რომლებიც ამ დირექტივით უქმდება. მითითების ფორმატი წევრმა სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს.

4. ამ დირექტივის კონტექსტში მათ მიერ ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანილი ძირითადი ცვლილებების შესახებ წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა შეატყობინონ.

მუხლი 52

გარდამავალი დებულებები

წევრმა სახელმწიფოებმა 51-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გამოყენება საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განაცხადების განხილვისას და საერთაშორისო დაცვის გაუქმების პროცედურებში არაუგვიანეს 2015 წლის 20 ივლისისა ან უფრო ადრე უნდა დაიწყონ. 2015 წლის 20 ივლისამდე საერთაშორისო დაცვის განაცხადებისა და ამ თარიღამდე დაწყებული საერთაშორისო დაცვის გაუქმების პროცედურები 2005/85/EC დირექტივის ფარგლებში მიღებულ კანონებს, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებს უნდა დაექვემდებაროს.

51-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გამოყენება საერთაშორისო დაცვის შესახებ გაკეთებული განაცხადების განხილვის პროცედურებში წევრმა სახელმწიფოებმა არაუგვიანეს 2018 წლის 20 ივლისისა ან უფრო ადრე უნდა დაიწყონ. 2018 წლის 20 ივლისამდე საერთაშორისო დაცვის შესახებ გაკეთებული განაცხადების განხილვის პროცედურები 2005/85/EC დირექტივის ფარგლებში მიღებულ კანონებს, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებს უნდა დაექვემდებაროს.

მუხლი 53

გაუქმება

ამ დირექტივით წევრი სახელმწიფოებისთვის 2015 წლის 21 ივლისიდან უქმდება 2005/85/EC დირექტივა, ეროვნულ კანონმდებლობაში მე-2 დანართის „ბ“ ნაწილის ტრანსპოზიციასთან დაკავშირებით მათი ვალდებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

გაუქმებული დირექტივის მითითებები ამ დირექტივის მითითებების კონტესტში უნდა განიმარტოს და მე-3 დანართის კორელაციური ცხრილის შესაბამისად უნდა იკითხებოდეს.

მუხლი 54

ძალაში შესვლა და გამოყენება

ეს დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს შედის ძალაში.

47-ე და 48-ე მუხლები ძალაშია 2015 წლის 21 ივლისიდან.

მუხლი 55

ადრესატები

ამ დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულების შესაბამისად.

მომზადებულია ბრიუსელში, 2013 წლის 26 ივნისს.

ევროპის პარლამენტის სახელით

პრეზიდენტი

მ. შულცი

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი

ა. შატერი

([1](#)) [OJ C 24, 28.1.2012, გვ.79.](#)

([2](#)) ევროპის პარლამენტის 2011 წლის 6 აპრილის პოზიცია ([OJ C 296 E, 2.10.2012, გვ.184](#)) და საბჭოს პოზიცია პირველი წაკითხვისას, 2013 წლის 6 ივნისს (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ გამოქვეყნებული არ არის). ევროპის პარლამენტის 2013 წლის 10 ივნისის პოზიცია (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ გამოქვეყნებული არ არის).

[\(3\) OJ L 326, 13.12.2005, გვ. 13.](#)

[\(4\) OJ L 337, 20.12.2011, გვ.9.](#)

[\(5\) იხ. ოფიციალური ჟურნალი, გვ. 96.](#)

[\(6\) OJ L 132, 29.5.2010, გვ. 11.](#)

[\(7\) OJ L 281, 23.11.1995, გვ. 31.](#)

[\(8\) იხ. ოფიციალური ჟურნალი, გვ. 31.](#)

[\(9\) OJ C 369, 17.12.2011, გვ. 14.](#)

[\(10\) OJ L 348, 24.12.2008, გვ. 98.](#)

[\(11\) საბჭოს ჩარჩო დირექტივა 2002/584/JHA, 2002 წლის 13 ივნისი, ევროპული დაკავების ორდერის და ჩაბარების პროცედურები წევრ სახელმწიფოთა შორის \(OJ L 190, 18.7.2002, გვ. 1\).](#)

[\(12\) იხ. Official Journal, გვ. 1.](#)

დანართი I

უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის

ქვეყანა უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა, როდესაც იქ სამართლებრივი სიტუაციის, დემოკრატიულ სისტემაში კანონის გამოყენების და ზოგადი პოლიტიკური გარემოებების საფუძველზე შეიძლება ნაჩვენები იქნას, რომ ზოგადად და მუდმივად არ ხდება დევნა, როგორც ეს 2011/95/EU დირექტივის მე-9 მუხლით არის განსაზღვრული და საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში წამება ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა და დაშინება განურჩეველი ძალადობის მიზნით არ ხდება.

ამ შეფასების გაკეთებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მათ შორის, დევნის ან არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ მინიჭებული დაცვის მასშტაბი, რასაც უზრუნველყოფს:

(ა) ქვეყნის შესაბამისი კანონები და რეგულაციები და მათი გამოყენების ფორმები;

(ბ) ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით და/ან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით და/ან გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, განსაკუთრებით იმ უფლებების, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია ზემოაღნიშნული ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე;

(გ) გაძევების დაუშვებლობის პრინციპის დაცვა, ჟენევის კონვენციის შესაბამისად;

(დ) ეფექტური სამართლებრივი სისტემის (გასაჩივრების მექანიზმის) უზრუნველყოფა ამ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის მიმართ.

დანართი II

ნაწილი ა

გაუქმებული დირექტივა

(მითითებულია 53-ე მუხლში)

საბჭოს დირექტივა 2005/85/EC	(OJ L 326, 13.12.2005, გვ. 13) .
-----------------------------	--

ნაწილი ბ

ეროვნულ სამართალში ტრანსპოზიციის ვადები

(მითითებულია 51-ე მუხლში)

დირექტივა	ტრანსპოზიციის ვადები
2005/85/EC	პირველი ვადა: 2007 წლის 1 დეკემბერი მეორე ვადა: 2008 წლის 1 დეკემბერი

დანართი III

კორელაციის ცხრილი

დირექტივა 2005/85/EC	ეს დირექტივა
მუხლი 1	მუხლი 1
მუხლი 2(ა) - (გ)	მუხლი 2(ა) - (გ)
—	მუხლი 2(დ)
მუხლი 2(დ) - (ვ)	მუხლი 2(ე) - (ზ)
—	მუხლი 2(თ) და (ი)
მუხლი 2(ზ)	მუხლი 2(კ)

—	მუხლი 2(ლ) და (მ)
მუხლი 2(თ) - (კ)	მუხლი 2(ნ) - (რ)
—	მუხლი 2(ტ)
მუხლი 3(1) და (2)	მუხლი 3(1) და (2)
მუხლი 3(3)	—
მუხლი 3(4)	მუხლი 3(3)
მუხლი 4(1), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 4(1), პირველი ქვეპუნქტი
მუხლი 4(1), მეორე ქვეპუნქტი	—
მუხლი 4(2)(ა)	მუხლი 4(2)(ა)
მუხლი 4(2)(ბ) - (დ)	—
მუხლი 4(2)(ე)	მუხლი 4(2)(ბ)
მუხლი 4(2)(ვ)	—
—	მუხლი 4(3)
მუხლი 4(3)	მუხლი 4(4)
—	მუხლი 4(5)
მუხლი 5	მუხლი 5
მუხლი 6(1)	მუხლი 6(1)
—	მუხლი 6(2) - (4)
მუხლი 6(2) და (3)	მუხლი 7(1) და (2)
—	მუხლი 7(3)
—	მუხლი 7(4)
მუხლი 6(4)	მუხლი 7(5)
მუხლი 6(5)	—
—	მუხლი 8
მუხლი 7(1) და (2)	მუხლი 9(1) და (2)
—	მუხლი 9(3)

მუხლი 8(1)	მუხლი 10(1)
—	მუხლი 10(2)
მუხლი 8(2)(ა) - (გ)	მუხლი 10(3)(ა) - (გ)
—	მუხლი 10(3)(დ)
მუხლი 8(3) და (4)	მუხლი 10(4) და (5)
მუხლი 9(1)	მუხლი 11(1)
მუხლი 9(2), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 11(2), პირველი ქვეპუნქტი
მუხლი 9(2), მეორე ქვეპუნქტი	—
მუხლი 9(2), მესამე ქვეპუნქტი	მუხლი 11(2), მეორე ქვეპუნქტი
მუხლი 9(3)	მუხლი 11(3)
მუხლი 10(1)(ა) - (გ)	მუხლი 12(1)(ა) - (გ)
—	მუხლი 12(1)(დ)
მუხლი 10(1)(დ) და (ე)	მუხლი 12(1)(ე) და (ვ)
მუხლი 10(2)	მუხლი 12(2)
მუხლი 11	მუხლი 13
მუხლი 12(1), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 14(1), პირველი ქვეპუნქტი
მუხლი 12(2), მეორე ქვეპუნქტი	—
—	მუხლი 14(1), მეორე და მესამე ქვეპუნქტები
მუხლი 12(2), მესამე ქვეპუნქტი	მუხლი 14(1), მეოთხე ქვეპუნქტი
მუხლი 12(2)(ა)	მუხლი 14(2)(ა)
მუხლი 12(2)(ბ)	—
მუხლი 12(2)(გ)	—
მუხლი 12(3), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 14(2)(ბ)
მუხლი 12(3), მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 14(2), მეორე ქვეპუნქტი
მუხლი 12(4) - (6)	მუხლი 14(3) - (5)
მუხლი 13(1) და (2)	მუხლი 15(1) და (2)

მუხლი 13(3)(ა)	მუხლი 15(3)(ა)
—	მუხლი 15(3)(ბ)
მუხლი 13(3)(ბ)	მუხლი 15(3)(გ)
—	მუხლი 15(3)(დ)
—	მუხლი 15(3)(ე)
მუხლი 13(4)	მუხლი 15(4)
მუხლი 13(5)	—
—	მუხლი 16
მუხლი 14	—
—	მუხლი 17
—	მუხლი 18
—	მუხლი 19
მუხლი 15(1)	მუხლი 22(1)
მუხლი 15(2)	მუხლი 20(1)
—	მუხლი 20(2) - (4)
—	მუხლი 21(1)
მუხლი 15(3)(ა)	—
მუხლი 15(3)(ბ) და (გ)	მუხლი 21(2)(ა) და (ბ)
მუხლი 15(3)(დ)	—
მუხლი 15(3), მეორე ქვეპუნქტი	—
მუხლი 15(4) - (6)	მუხლი 21(3) - (5)
—	მუხლი 22(2)
მუხლი 16(1), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 23(1), პირველი ქვეპუნქტი
მუხლი 16(1), მეორე ქვეპუნქტი, პირველი წინადადება	მუხლი 23(1), მეორე ქვეპუნქტი, შესავალი სიტყვები
—	მუხლი 23(1)(ა)
მუხლი 16(1), მეორე ქვეპუნქტი, მეორე	მუხლი 23(1)(ბ)

წინადადება	
მუხლი 16(2), პირველი წინადადება	მუხლი 23(2)
მუხლი 16(2), მეორე წინადადება	—
—	მუხლი 23(3)
მუხლი 16(3)	მუხლი 23(4), პირველი ქვეპუნქტი
მუხლი 16(4), პირველი ქვეპუნქტი	—
მუხლი 16(4), მეორე და მესამე ქვეპუნქტები	მუხლი 23(4), მეორე და მესამე ქვეპუნქტები
—	მუხლი 24
მუხლი 17(1)	მუხლი 25(1)
მუხლი 17(2)(ა)	მუხლი 25(2)
მუხლი 17(2)(ბ) და (გ)	—
მუხლი 17(3)	—
მუხლი 17(4)	მუხლი 25(3)
—	მუხლი 25(4)
მუხლი 17(5)	მუხლი 25(5)
—	მუხლი 25(6)
მუხლი 17(6)	მუხლი 25(7)
მუხლი 18	მუხლი 26
მუხლი 19	მუხლი 27
მუხლი 20(1) და (2)	მუხლი 28(1) და (2)
—	მუხლი 28(3)
მუხლი 21	მუხლი 29
მუხლი 22	მუხლი 30
მუხლი 23(1)	მუხლი 31(1)
მუხლი 23(2), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 31(2)
—	მუხლი 31(3)

—	მუხლი 31(4) და (5)
მუხლი 23(2), მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 31(6)
მუხლი 23(3)	—
—	მუხლი 31(7)
მუხლი 23(4)(ა)	მუხლი 31(8)(ა)
მუხლი 23(4)(ბ)	—
მუხლი 23(4)(გ)(i)	მუხლი 31(8)(ბ)
მუხლი 23(4)(გ)(ii)	—
მუხლი 23(4)(დ)	მუხლი 31(8)(გ)
მუხლი 23(4)(ე)	—
მუხლი 23(4)(ვ)	მუხლი 31(8)(დ)
მუხლი 23(4)(ზ)	მუხლი 31(8)(ე)
—	მუხლი 31(8)(ვ)
მუხლი 23(4)(თ) და (ი)	—
მუხლი 23(4)(კ)	მუხლი 31(8)(ზ)
—	მუხლი 31(8)(თ) და (ი)
მუხლი 23(4)(ლ) და (მ)	—
მუხლი 23(4)(ნ)	მუხლი 31(8)(კ)
მუხლი 23(4)(ო) და (პ)	—
—	მუხლი 31(9)
მუხლი 24	—
მუხლი 25	მუხლი 33
მუხლი 25(1)	მუხლი 33(1)
მუხლი 25(2)(ა) - (გ)	მუხლი 33(2)(ა) - (გ)
მუხლი 25(2)(დ) და (ე)	—
მუხლი 25(2)(ვ) და (ზ)	მუხლი 33(2)(დ) და (ე)

—	მუხლი 34
მუხლი 26	მუხლი 35
მუხლი 27(1)(ა)	მუხლი 38(1)(ა)
—	მუხლი 38(1)(ბ)
მუხლი 27(1)(ბ) - (დ)	მუხლი 38(1)(გ) - (ე)
მუხლი 27(2) - (5)	მუხლი 38(2) - (5)
მუხლი 28	მუხლი 32
მუხლი 29	—
მუხლი 30(1)	მუხლი 37(1)
მუხლი 30(2) to (4)	—
—	მუხლი 37(2)
მუხლი 30(5) და (6)	მუხლი 37(3) და (4)
მუხლი 31(1)	მუხლი 36(1)
მუხლი 31(2)	—
მუხლი 31(3)	მუხლი 36(2)
მუხლი 32(1)	მუხლი 40(1)
მუხლი 32(2)	—
მუხლი 32(3)	მუხლი 40(2)
მუხლი 32(4)	მუხლი 40(3), პირველი წინადადება
მუხლი 32(5)	მუხლი 40(3), მეორე წინადადება
მუხლი 32(6)	მუხლი 40(4)
—	მუხლი 40(5)
მუხლი 32(7), პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 40(6)(ა)
—	მუხლი 40(6)(ბ)
მუხლი 32(7), მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 40(6), მეორე ქვეპუნქტი
—	მუხლი 40(7)

—	მუხლი 41
მუხლი 33	—
მუხლი 34(1) და (2)(ა)	მუხლი 42(1) და (2)(ა)
მუხლი 34(2)(ბ)	—
მუხლი 34(2)(გ)	მუხლი 42(2)(ბ)
მუხლი 34(3)(ა)	მუხლი 42(3)
მუხლი 34(3)(ბ)	—
მუხლი 35(1)	მუხლი 43(1)(ა)
—	მუხლი 43(1)(ბ)
მუხლი 35(2) და (3)(ა) - (ვ)	—
მუხლი 35(4)	მუხლი 43(2)
მუხლი 35(5)	მუხლი 43(3)
მუხლი 36(1) - (2)(გ)	მუხლი 39(1) - (2)(გ)
მუხლი 36(2)(დ)	—
მუხლი 36(3)	—
—	მუხლი 39(3)
მუხლი 36(4) - (6)	მუხლი 39(4) - (6)
—	მუხლი 39(7)
მუხლი 36(7)	—
მუხლი 37	მუხლი 44
მუხლი 38	მუხლი 45
—	მუხლი 46(1)(ა)(i)
მუხლი 39(1)(ა)(i) აიღ (ii)	მუხლი 46(1)(ა)(ii) აიღ (iii)
მუხლი 39(1)(ა)(iii)	—
მუხლი 39(1)(ბ)	მუხლი 46(1)(ბ)
მუხლი 39(1)(გ) და (დ)	—

მუხლი 39(1)(ე)	მუხლი 46(1)(გ)
—	მუხლი 46(2) და (3)
მუხლი 39(2)	მუხლი 46(4), პირველი ქვეპუნქტი
—	მუხლი 46(4), მეორე და მესამე ქვეპუნქტები
მუხლი 39(3)	—
—	მუხლი 46(5) - (9)
მუხლი 39(4)	მუხლი 46(10)
მუხლი 39(5)	—
მუხლი 39(6)	მუხლი 41(11)
მუხლი 40	მუხლი 47
მუხლი 41	მუხლი 48
—	მუხლი 49
მუხლი 42	მუხლი 50
მუხლი 43, პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 51(1)
—	მუხლი 51(2)
მუხლი 43, მეორე და მესამე ქვეპუნქტები	მუხლი 51(3) და (4)
მუხლი 44	მუხლი 52, პირველი ქვეპუნქტი
—	მუხლი 52, მეორე ქვეპუნქტი
—	მუხლი 53
მუხლი 45	მუხლი 54
მუხლი 46	მუხლი 55
დანართი I	—
დანართი II	დანართი I
დანართი III	—
—	დანართი II
—	დანართი III
